

ყოველპატირებული  
სპორტული გურნალი  
ფაზ 2 ქ


26 week

№13 5-11 აპრილი 2016

# კალათბურთი

# 2016

# ჩიზნესი



არის  
დეთალები,  
რასაც ვერ  
გააკონფირობა

DALLAS  
27

20



# პურველი საკონცერტო გაზეთი

გამოიშვა 1934 წლის 1 მარტი

გამოიღოს ყოველ სასუალო დღის, ფასი 1 ლ



გამოტოვეთ  
მთავარი რედაქტორი  
მისა თვალაბეჭდიშვილი



გამოიცემა  
ყოველ სამათათს

მთავარი რედაქტორი  
პატარა გელაშვილი

#### ავთორები

გია ფშაველაძი  
მერაბ მაჟალაშვილი  
ალექს პაპაურიძე  
ვაჟა სიმონიშვილი  
ვაჟა დავითია  
ირაკლი თავაძე  
ვასილ ბალახაძე  
ბესიკ ჩანგაშვილი  
ნიკოლოზ ხელიარიძე  
ზურა თალაპავაძე  
ილია ბაბუნაშვილი

#### სიმიმიური გამოცემი

მიხეილ ჭავი  
დავით შალვაშვილი

მხატვრული რედაქტორი  
ვაჟა სიმონიშვილი

#### კორელაცია

ლევა ხომალიძე  
მანანა დავაშვილი

#### ფოთი

თამუნა ყულიშვილაშვილი  
გურამ დოლენჯაშვილი

**პალიტრა გელის ცხელი საზღ:**  
2 19 60 13; 2 19 60 53.  
**ელექტრო:** contact@pallitra.ge;  
მისამართი: იოსებიძის, 49.

ელფოსტა  
leloltd@gmail.com (რედაქტორი);  
lelo@pallitra.ge  
ინდექსი 66435 INDEX.  
სარეკლამო განყოფილება:  
237 78 07; 2 23 80 09

დაიბაზდა სტამბა  
კოლორში

რედაქციისთავ ვერა გელიშვილი  
ურნალის უნივერსიტეტი  
გამოქვეყნებულის სამსახური  
გამოქვეყნებულის სამსახური

## სპორტი

მასული კვირის 10 მიზანებობაზე ფაქტი ..... 4	ისტორიიდან. როგორ შექმნა დიდმა ჰოლანდიულმა ბარსელონა ..... 22
ინტერვიუ ზაზა ფაჩულიძასთან. არის დეტალები, რასაც ვერ გააკონტროლებ ..... 6	მამუკა მორგობის პასუხი სერჩო პარისეს. ჩვენ უელსთან 70 ქულით არ წავაგებთ! ..... 26
თვალსაზრისი. ამდენს ვინ გვაპატიებდა?! ..... 8	დიდი ბოსები. მაურიციო ქამარინი. მწვრთნელი ცოლივითაც... ..... 28
ექსპლუზივი. დავით ლორია. როცა დინამო არენაზე საქართველოს ჰიმნი გაისმა, ტანში ურუაზტელმა დამიარა ..... 10	ჩოგბურთი, როგორც გასართობი ნოვაკ ფოკოვიჩისთვის ..... 30
ზურა თალაპავაძის თავისუფალი თემა. ყველაზე კარგი მატა ..... 14	სახელმწიფო. მიხეილ ხერგიანი. კლდის ვეფხვი ..... 32
ასე იქცევიან ნამდვილი პატრიოტიზმი. ანდრეი შევჩერნკოს დაბრუნება: წინ, უკრაინა! ..... 16	სპორტსახელი ლაგაზმანები. ჰულიას სლალომი ..... 35
სანაკრებო ფეხბურთი. იქ, სადაც მკვეთრი რყევები არ უყვართ.... ..... 18	მრავდები. სამეცნი განძი. მოგზაურობა რეალის მუზეუმში ..... 36
	სპასორდი ..... 38



# 10 გვარეთი

ჩარგანული მანქანა  
დაიკონა, ჩვენ როდის?..

# 10

● ვაჟა სიმონიშვილი

**ბრძანიშვილის „მვაის“  
სიღდომი**

სამხრეთ ამერიკაში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩები გაიმართა. ბრძანიშვილის ნაკრები პარაგვაის ესტუმრა და 2:2 ითამაშა. როგორც ჩანს, ბრძანიშვილებს „გვაის“ სინდრომი შეეყარათ - ასევე 2:2 დასრულდა მანამდე რმადებიმე დღით ადრე ბრძანიშვილა-ურუგვაის დაპირისპირება.

ასეა თუ ისე, ორმა ფრემ პენტაკამპეონები სატუნირო ცხრილში მე-6 ადგილამდე დააქვეითა. მსოფლიოს ჩემპიონატზე კი აეტომატურად საუკეთესო კვარტეტი გადის, ხოლო მეტუთეადგილო-სანი გადათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.

ურუგვაიმ პერუ 1:0 დაამარცხა და ცხრილში გალიდერდა. არგენტინამ კი ბოლივიას 2:0 სმელია. ლეო მესიმ არგენტინის ნაკრების მაისურით 50-ე გოლი გაიტანა.



# 9

ვითას პირველი

„ვითას ლიგაზე“ პირველი მატჩი მოიგო „ვითას“, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ბელარუსის „მინსკი“ - 81:80.

საფონალო სირენამდე წუთანახევრით ადრე ჩვენი გუნდი 6 ქულის სხვაობით მარცხდებოდა, თუმცა დარჩენილ დროში თამაშის შემოტრიალება მოახერხა და ისტორიულ გამარჯვებას მიაღწია.

შეხვედრის გადამწყვეტი ორქესტრიანი ბეჭა წიგნივაძემ ჩააგდო: „ეს იყო ჩემი კარიერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი. სასისარულოა, როცა შენი გუნდი შენი თრქულიანით ისტორიულ გამარჯვებას აღწევს. მთავარი სწორედ ეს - გუნდური წარმატება იყო. ამდენი წაგხბის შემდეგ გვჭირდებოდა თუნდაც ერთი მატჩის მოგება“.



# 8

შესაძლებელი  
ხარისხი

გაზიერ „ლელომ“ და „ლიდერებითმა“ „ბიბლუს გალერიში“ მარტის რჩეული გამოაცვინეს. საუკეთესო მწვრთნელი „სამტრედიას“ თავიაცი გია ცეცაძე გახდა, ხოლო თვის ფეხბურთელად „საბურთალოს“ ახალგაზრდა ლიდერი გიორგი ხარაშვილი დასახელდა.

„ეს ალიარება ძალიან ბევრს ნიშანავს და დიდი სტიმულია ჩემთვის! მომავალშიც ვეცცები, გავამართლო მწვრთნელის ნდობა და გულშემატკივართა იმედები. მადლობა პროექტის ორგანიზატორებს. ვცდილობ, ყველაფერი გავაკეთო საიმისი, რომ ხეალინდელი დღე ჩემთვის დღევანდელზე უკეთესი იყოს“, - აღნიშნა ხარაშვილმა.



# 7

სამი ოქრო

საქართველოს 23-წლამდელ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ბულგარეთის ქალაქ რუსეში, თანატოლთა ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა მართლაც რომ შევენირი შედეგით - 3 ოქროთი, 2 ვერცხლით და 1 ბრნიფლოთი დაამრულა.

ტურნირის სასტარტო დღეს, ლაშა გობაძე (80) ამ ასაქში ზედიზედ მეორედ გახდა ევროპის ჩემპიონი. ვერცხლი კუკურუ კირცხალიამ (98) მოიპოვა, ბრინჯაო - რამაზ ზონიძემ (71).

ჩვენმა გუნდმა მეორე დღეს კიდევ უფრო დიდი ნარმატებით იჭიდავთ - 4 წონიდნ სამის ფინალში ჩვენები გავიდნენ, ზაზა ჯიბლაძის გუნდმა 2 ოქრო და 1 ვერცხლი დაისაუთორა. ჩემპიონები გელა ბოლქვაძე (75) და იაკობ ქაჯიათა (130) გახდნენ, მეორეზე კი თორნიკე კუ ჯანგაძე (66) გავიდა.



# 6

ჩხშიბი დინამოების  
ეორებამთა შორის

ქოულეთის „ჩელენენაზე“ არენაზე“ ერთმანეთს ბათუმისა და თბილისის „დინამოები“ დაუპირისპირებნენ. შეხვედრა დრამატული გამოდგა: 29-ე წუთზე თბილისელები ჯილაურმა დაანინაურა, ხოლო ტეილდაბმა 72-ზე წონასწორობა აღადგინა. შეხვედრის გადამწყვეტი გოლი 88-ე წუთზე გავიდა. ავტოგოლი ალავიძის ანგარიშზე დაფიქსირდა.

მატჩის შემდეგ გუნდების გულშემატკივრებს შორის შელაპარაკება მოხდა, რაც ჩხშიბი გადაიზარდა. სიტუაციის განმუხტვის მიზნით სამართალდამცა რამდენიმე გულშემატკივარი დააკავეს.

ასეთ საინტერესო შეხვედრას მატჩისშემდგომი არასპორტული ფინალი ნამდვილად არ მოუხდა.



## ესპანური ელიტი

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა გიორგი ყიფიანის ხელმძღვანელობით ელიტრა-უნდი დაასრულა. გუნდი ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდა, თუმცა ნამდვილად ვერ მოგვიბრუნდება ენა მათზე აუგის სათქმელად. თავად განსაკვთო: ესპანეთთან 1:1 ვითამბშეთ, ხოლო ინგლისთან და საბერძნეთთან ერთნაირი ანგარიშით, 1:2 დავმარცხდით.

ეს ანგარიშები პირდაპირ მიგვითოებს, რომ თანაბარი ბრძოლები იყო. ინგლისში, საბერძნეთსა და ესპანეთში ჩევრონან შედარებით რა დონეზეა ფეხბურთი განვითარებული, ყველას კარგად მოქმედნება. ასეთ გუნდებთან ტოლ-სწორად ბრძოლა კი უსულე დადებითი მოტინტა.

ამ მატჩებში მიღებული გამოცდილება ქართველ გუნდთან მომავალში აუცილებლად უნდა წაადგეთ.

## მანებანა დაიძოხა

გერმანიის ნაკრების ყველაზე უხერხული მეტოქე იტალია. თუმცა, ეს იტალიური აქსიომა დღეს კითხვის ნიშნის ქვეშა, რადგან ამსანაგურ შეხვედრაში გერმანელებმა „სკუადრა აძურა“ 4:1 გაანადგურეს. ვინც ამ შეხვედრას მიადევნა თვალი, დავვეთანხმება, რომ ევრო 2016-ზე მთავარი ფავორიტი სწორედ გერმანია.

თუმცა არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რომ მარტის ბოლოს ალემანებმა ბერლინში ინგლისთან დათმეს. თავის მხრივ კი ბრიტანელებმა შინ ნააგეს ევროპის ჩემპიონატზე ვერმოხვედრილ ჰოლანდიასთან - 1:2.

მოკლედ, ვინ ვისზე ძლიერია, ამაზე დღეს მხოლოდ მეითხობა შეგვიძლია, გუნდების რეალური ძალა ივნისში, ევრო 2016-ზე გამოჩინდება.



## მორმორი:

### პარისმას მს არ უდა ითევა...

მამუკა გორგოძე გამოქმაურა იტალიის ნაკრების წევრის სერვიონ პარისმას გამონათევაში. რა თქვა აპენინელმა და რა პასუხი მიიღო, გორგოძის სიტყვებიდან მიხვდებით:

„მისი საქმეა, მოედანზე ითამაშოს და არა ამ საეითხის პრესასთან განხილვა. საქართველოს ნაკრები უელსთან მატჩში 70 ქულით არ წააგება. მოდით, მოვაწყოთ მატჩი 6 ერის ბოლოადგილოსანსა და ერთა თასის გამარჯვებულს შორის. იქ, გამოჩინდება ვინ ვინ არის. ძალიან ცუდად გამოუვიდა პარისმას რეალია თქვა, რომ ჩემი ადგილი 6 ერში არ არის“.



## ბარსა და ბარი რეალი

როგორც ყოველთვის: საოცარი სანახავი გამოდგა მორიგი „ელ კლასიკო“, რომელსაც „კამპ ნოუმ“ უმასპინძლა. „ბარსა“ - „რეალი“ ბევრისთვის მოულონელი შედეგით დასრულდა - მადრიდელებმა ლუკას ენრიკეს გუნდის 39-მატჩის ნუგებელ სერიას წერტილი დაუსკეს 2:1 გამარჯვეს.

„ბარსა“ ნამდვილად არ ჰგავდა „უპილო გუნდს“, მწვავედაც უტევდა და საგოლე მომენტებსაც ქმნიდა, მაგრამ მეორე ნახევარში „რეალის“ შეტევები უფრო ბასრი გამოდგა.

ამ მატჩმა ორი კითხვა დაბადა: რამენაირად იმოქმედებს ეს წაგება „ბარსას“ საჩემპიონო შანსებზე?

მსოფლიოს კიდევ ერთი დიდი მწვრთნელი შეემატა ზინედინ ზიდანის სახით?

პასუხებს შემდგომში მივიღებთ.



## ლომიდური ყაიმი

საქართველოს ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში ყაზახეთს უმასპინძლა და 1:1 ითამაშა. შეცვედრას არაერთი უამოებმაურა, კიდევ უფრო საინტერესო მთავარი მწვრთნელის, ვლადიმირ ვაისის შეფასება:

„მწვრთნელისთვის პირველი მატჩი ყოველთვის რთულია. შედეგით უკმაყოფილო ვარ. რაც შეხება კონკრეტულ ფეხბურთელებს, ნაწილმა დავალება შეასრულა, ნაწილმა - ვერა. ახლა უფრო ნათლად დავინახე, რა აკლია ნაკრებს. ქართველი ფეხბურთელების დონიდან გამომდინარე, ყაზახეთთან უნდა მოგვეგო. ბურთის დაკარგვის შემდეგ ქართველებს ართმევაზე თამაში არ უყვართ, ამაზე უნდა ვიმუშაოთ და გამოვასწოროთ“. ●



5

4

3

2

1

**● ვაჟა სიმონიშვილი**

ზაზა ფაჩულიასთვის მიმდინარე სეზონი კარიერაში საუკეთესოა. თებერვლამდე მისი საშუალო მონაგარი 10-10 ქულა-მოხსნას აჭარბებდა. თუმცა შემდეგ სიტუაცია შეიცვალა, აღარც ზაზას აქვს საქმარისი სათამაშო დრო და ველარც „დალას მავერიქსი“ აღნევს უწინდებურ შედეგებს.

**26-ი დუბლი**

- სხვათა შორის, „გოლდენ სტეიტს“ წლეულს ოთხჯერ ვეთამაშე და ოთხივე შეხვედრა დაძაბული გამოდგა. როცა მოქმედ ჩემპიონთან და NBA-ს ლიდერთან ასე თამაშო, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ყველა გუნდისთვის დიდი პოზიტივია. მათ შორის ჩევნოვის. ისიც გასათვალისწინებელია, რომ „გოლდენ სტეიტის“ წინააღმდეგ რამდენიმე ლიდერი გვაკლდა. არ უთამაშიათ დირკ ნოვიცის, დერონ უილიამს... ვისაც თამაში წაუვიდა, მწვრთნელი ბოლომდე ენდო და მიზნამდე მართლაც ცოტა დაგვაკლდა.

# არის ძეგალები, რასაც ვარ გააკრიტიკოს

**ჩავარდნა**

- სეზონი მართლაც კარგად დავიწყეთ. დასავლეთის კონფერენციის სატურნირო ცხრილის ზედა ოთხეულში დიდი ხნის განმავლობაში ვიყავით, მაგრამ შემდეგ ქვემოთ დავეშვით და ახლა საპლეიოფუ ზღვარზე ვართ. ბოლო ერთ თვეში, ბევრი თამაში წავაგეთ. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ სხვადასხვა მოთამაშეებს როლები შეეცვალათ, ოპტიმალური ვარიანტის ძიებაში ვართ. ფაქტი ერთია, კმაყოფილი არავინაა და ვიმედოვნებ, ყველაზე მაღალ დალაგდება.

**როლის შვლილება**

- ნამდვილად არ მეგონა, რომ სეზონი ასეთი გამოვიდოდა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ დასრულებულა, შემიძლია ვთქავა, რომ ჩემთვის მართლაც საუკეთესოა. ძალიან სასამოვნოა, როცა შენი თამაშით გუნდსაც ეხმარები. ბევრი ითვლის ორმაგ დუბლებს, ეფექტური სტატისტიკის ხილვა ყველას უხარისა, მაგრამ ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ორმაგი დუბლების მოგროვების პარალელურად გუნდი იგებდა, მე კი საკმარისად ვეხმარებოდი. შუა სეზონში „დალასში“ განხორციელებული ცვლილებების შემდეგ კალათბურთელთა როლებიც შეიცვალა.

ამა თუ იმ მოთამაშეს ბევრი რამის გაკონტროლება შეუძლია. მაგალითად: პროფესიონალიზმის, მონდომების, დისციპლინის, სათამაშო კონდიციების... თუმცა არის დეტალები, რასაც ვერ გააკონტროლებ, თუნდაც სათამაშო წუთებს. ყველას უნდა ესმოდეს, რომ გუნდის ნაწილია და მისი მთავარი ამოცანა გუნდური წარმატება. შემადგენლობას კი მწვრთნელი არჩევს. მე მხოლოდ ის შემიძლია, რომ ფორმა შევი-

## მთავარი ის პი არ არის, რამდენად ევეროთ დაეშვები, არამედ ის, თუ რამდენად სწრაფად წამოდგები

ნარჩუნო, მაქსიმალურად მზად ვიყო ყოველი მატჩისთვის, ყოველი წუთისთვის, როცა მოედანზე მომინევს ყოფნა.

მოთამაშემ შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვას. ამასთან, კალათბურთი პოლიტიკა და დიდი ბიზნესია. ბევრი რამ გამართლებაზეცაა დამოკიდებული, არის წარმატებაც და ხარუმატებლობაც, მაგრამ მთავარი ის კი არ არის, რამდენად ქვემოთ დაეშვები, არამედ ის, თუ რამდენად სწრაფად წამოდგები.

ერთი კუთხით იქნება დაუვიწყარი - დირკ ნოვიცკის გვერდზე მიწევს თამაში. ბედნიერი ვარ, რომ ცხოვრებაში ასეთი შანსი მომეცა. როგორ ფერობთ, რატომ თამაშობს უწინდებურად შედეგიანად 37 წლის ასაკში? - იმიტომ, რომ უმაღლესი დონის პროფესიონალია, მონდომებით, საქმისადმი მიდგომით, შემართებით სამაგალითოა...

**პატარება**


- დიდი ხნის წინ მქონდა აკადემის ჩამოყალიბების იდეა, თუმცა ახლალა მოხერხდა. მადლობელი ვარ, რომ სახელმწიფოსგან გადმომეცა ის ადგილი, რომელიც ჩემთან ძალიან ახლოსაა - სწორედ დიდების მანეუში დავიწყე კალათბურთის თამაში. ის დრო არასოდეს დამავიწყდება, მიუხედავად იმისა, რომ 90-იან წლებში რთულ პირობებში გვიწევდა ვარჯიში. აკადემია, პირველ რიგში, დიდი პასუხისმგებლობაა. 300-ზე მეტი ბავშვი ვარჯიშობს, რომლებიც სწორი მიმართულებით უნდა განვითარდნენ, უნდა მიეჩიონ პროფესიონალიზმს. ყველა NBA-ში ვერ მოხვდება, მაგრამ ჩევნოთან უნდა ის-ნავლონ ის, რაც შემდეგში გამოადგებათ როგორც კალათბურთში, ასევე ცხოვრებაში.

- ბევრი ვიფიქრება და საბოლო-

**დირკ ნოვიცკი**

- ერთმანეთის წინააღმდეგ ვინ მოთვლის, რამდენჯერ ვგთიამაშია. მეტოქებიც თბილად ვხვდებოდით ერთმანეთს. თავიდან, NBA-ს ევროპულ კემპჩე დაუუახლოვდი, სადაც რამდენიმე დღის განმავლობაში ერთად ვავარჯიშებდით ახალგაზრდებს. ჩევნი ურთიერთობა ამ სეზონში გაღრმავდა. ახლა უკვე ერთად მივისწარაფვით მაღალი მიზნებისეკე.

ამ სეზონის მნიშვნელობაზე უკვე ვილაპარაკე. იგი ჩემთვის კიდევ



ოდ, სწორი ნაპიჯი გადავდგი - ჩამოვიყვანე მაღალი კვალიფიკაციის უცხოელი მწვრთნელები. ქართველებიც ძლიერი სპეციალისტები გვყავს და დარწმუნებული ვარ, შედეგს აუცილებლად მივიღებთ. ოლონდ ეს ერთ ან ორ დღეში ვერ მოხდება, საამისოდ მოთმინებაა საჭირო. როცა ტელევიზიით უყურებს, როგორ თამაშობს ესა თუ ის კალათბურთელი NBA-ში, გულშემატკივარს, მეგობარს, ნათესავს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მეტოქე იოლად უნდა დაჯაბნოს. თუმცა ჯერ NBA-ში მოხვედრა ნარმოულებულად რთული, შემდეგ იქ კაცის მოტყუება. თითო ქულის, თითო მოხსნის მოპოვება დიდ შრომას მოითხოვს. არა მხოლოდ იმ მოქმედში, არამედ - წლების განმავლობაში. ნარმოიდგინეთ, თუნდაც ფსიქოლოგიურად რამდენად რთულია, როცა ათწლეულები ერთსა და იმავეს აკეთებ, ყოველდღიურად იყლოს ლვრი სამისოდ, რომ ადრე თუ გვიან ერთ კონკრეტულ სეზონში, ერთ კონკრეტულ მატჩში გამოადგე გუნდს. ამის მოთმინება ბევრს არა აქვს. თუმცა მე რა მაქს დასაჩივლი, როცა გვერდში მყავს კალათბურთელი, რომელსაც NBA-ში 18 სეზონი აქვს გატარებული. დირკ ნოვიცკი ვარჯიშზე, წვრთნის შემდეგ დგას და დაუზარლად მუშაობს ტყორცებზე. მისი ასაკის ასეთი მშრომელი კალათბურთელი არ შემხვედრია.

- აქტიურად ვარ ჩართული საქმიანობაში. ძალიან მინდა, რაც შეიძლება ბევრი ახალგაზრდა ჩამოყალიბდეს მაღალი დონის მოთამშედ, რადგან ქარ-

თულ კალათბურთს სწორედ კარგად გამოწვრთნილი, ბევრი სპორტსმენი სჭირდება. გავა დრო, ჩემს ქართველ გუნდელებთან ერთად დავჯდები სპორტის სასახლის ტრიბუნაზე და ემოციურად დავუკრავ ტაშს ახალგაზრდებს, რომლებმაც საქართველოს ნაკრების ღირსება უნდა დაიცვან. მათ ჩვენი დაწყებული საქმე ღირსეულად უნდა განაგრძონ.

## ილიას ზუროსი

- ილიას ზუროსის დანიშვნის ამბავი მასმედიდან შევიტყვე. მასთან აქამდე შეხება არ მქონია, მახსოვეს, 2011 წელს ევროპის ჩემპიონატზე საბერძნეთის ნაკრებს რომ ვეთამაშეთ, სწორედ ილიას ზუროსი წვრთნიდა. მის მიღწევებსაც მასმედიის საშუალებით გავეცანი. ჯერ არ მისაუბრია, თუმცა იმედი მაქს, რომ საქართველოს ნაკრებისთვის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მზვრთნელი იქნება და გუნდს ახალ სიმაღლეზე აიყვანს. ●



● ალექსო პაპაშრიძე  
გამოცილებული

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე სლოვაკი ვლადმირ ვაისის დებიუტი ისეთი ვერ გამოდგა, როგორსაც ვისურვებდით. მართალია, ქართულ ფეხბურთს საუკეთესო წლები არ უდგას, მაგრამ იმის პოტენციალი და ამბიცია ნამდვილად გვაქვს, შინ ყაზახეთს რომ ვუგებდეთ...

### ახალი თავიდიპა

საქართველოს ნაკრებმა მატჩი გამოკვეთილი ფორვარდის გარეშე დაიწყო. ჩვენ ნარსულში მრავლად გვქონია ასეთი მაგალითები და ნაკრების მაშინდელ მწვრთნელსაც არ დაჰკლებია კრიტიკა ამის გამო, თუმცა ამჯერად მინდორზე შემტევთა რაოდენობა მცირე არ იყო. ეგაა, ცენტრფორვარდი მაინც აუცილებელი გვგონია და ამაში ვლადმირ ვაისიც „დაგვეთანხმა“ მეორე ტამის დასაწყისში.

მწვრთნელის ნოვაციამ პირველ ტაიმში მხოლოდ ერთხელ გაამართლა. არადა, მრავლად იყო მომენტები, გამოკვეთილი ფორვარდი განსაკუთრებულ ხითას რომ შეემნიდა მონინაალმდევის კართან და იქნებ გოლიც ერთზე მეტი გვეხილა...

მოკლედ, საქართველოს ნაკრებმა ახალი ტაქტიკით ითამაშა. კახა ცხადაძე რა სქემითაც ათა-მაშებდა გუნდს, ყველას კარგად გვახსოვს. ვაისმა 4-2-3-1 სათამაშო სქემა აირჩია. გამოკვეთილი ცენტრფორვარდის პოზიციაზე „ვიტესის“ შემტევი ნახევარმცველი ვაკო ყაზაიშვილი გახლდათ გამწესებული.

ჩემი აზრით, ყაზაიშვილისთვის ეს არ არის ოპტიმალური პოზიცია. ის უფრო მინდვრის სიღრმიდანაა სახიფათო, როცა სივრცეს ითავისუფლებს და ან თავად ემუქრება მონინაალმდევის კარს, ან პარტიორს უკეთებს სახიფათო გადაცემას...

### სად დავპარმეთ პომპასტურობა?

კახა ცხადაძეს (დღეს შედარებებს ვერ აცდებით) ბევრი მაქებარიც ჰყავს და კრიტიკოსიც - საკმაოდ. მაგრამ ერთს ვერ დამალავ - ცხადაძის მიერ ჩატარებულ ძალიან ბევრ შეხვედრაში საქარ-



# არძო გვაპა

თველოს ნაკრები ძალიან კომპაქტურად თამაშობდა.

ამჯერად, ასე არ ყოფილა. არაერთხელ მოგვემალა გუნდური მექანიზმი, თუნდაც - დაცვაში. სწორედ ამის გამო მივიღეთ პირველი გოლი და კიდევ არაერთხელ გადავრჩით უსიმოვნებას. ამდენ გუნდურ ჩავარდნას უკეთესი მეტოქე ნალდად არ გვაპატიებდა.

თუ ვაისს უნდა, რომ დიდხანს დარჩეს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე, ასეთი გუნდური ჩავარდნები ალარ უნდა განმეორდეს...

### რით იშნობა მცვრთელი?

ამბობენ, კარგი მწვრთნელი მეორე ტაიმს იგებსო. ვაისის შემ-



# ნა ვინ დაგიხდა?!

თხევევაში ეს ასე არ ყოფილა,  
თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ  
ეს გამონათქვამი უკანასკნელი  
ჭეშმარიტებაა და სლოვაკი ცუდი  
მწვრთნელია.

ეგ არის, მეორე ტაიმში ყაზახ-  
ხეთის ნაკრების ოთხეაციანმა  
სამწვრთნელო შტაბმა აშკარად  
დაგვიჯაბნა ქართველთა ახალი  
თავკაცი. მართალია, გვქონდა  
ორი აშკარა საგოლე მომენტი,  
მაგრამ არცერთი მათგანი არ ყო-  
ფილა გუნდური მოქმედების შე-  
დეგი.

ჩანს, ჩვენი ნაკრები ჯერაც ეჩ-  
ვევა ახალ ტაქტიკურ სქემას და  
მეორე ტაიმიც, ალბათ, ამის გამო  
ჩაგვიგარდა. ეს იყო ერთ-ერთი  
ყველაზე ცუდი ტაიმი საქართვე-  
ლოს ეროვნული გუნდის ბოლოდ-  
როინდელ ისტორიაში.

მედიაბის ფასი

ვეჭვობ, სულ სხვანაირი იქნებოდა მატჩის სცენარი, ლევან მჭედლიძეს რომ ეთამაშა. საქართველოს ნაკრების თავდასხმაში „ემპოლის“ ფორვარდი, უბრალოდ, პრიმა მგონია. გავარკვით, რომ მას თამაში არ შეეძლო ოდნავ გაუარესებული ჯანმრთელობის მოგომარეობის გამო...

გავრისკავთ და ვიტყვით, რომ  
საქართველოს ნაკრძი უფრო ში-  
ნაარსიანად ითამაშებდა და, ალ-  
ბათ, მეტსაც გაიტანდა, მინდოონ-  
ზე მძიდლიძე რომ ყოველიყო.

ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ

საქართველოს ნაკრების შე-  
მადგენლობაში ორმა დებიუტანტ-  
მა ითამაშა. გიორგი აბურჯანიამ-  
ძირითადში დაიწყო, ნიკა კაჭარა-

დებიუტანტს ეს ეპატიება.  
დღევანდელი დებიუტანტი ხვალ  
გამოიცდება და შესაგდებს აუცი-  
ლებლად შესაგდებს. კატრინა  
აქეს ყველა ის ოვისება, რომ ითა-  
მაშოს მაღალი დონის ფეხბურთი.

## სად არის ჰანოს ადგილი?

ყველას გვახსოვს საქართველოსა და შოტლანდიის ნაკრებთან თბილისური ევროშესარჩევი მატრიკა. მაშინ ჯანმ ანანიძემ საყრდენის პოზიციაზე ითამაშა. მაშინ ჯანმ მოგვაგონა „რეალის“ ხორცის მარტინ კორსის მიერთება.

გატი საყრდები ლუკა მოღრიჩი...  
გუშინ მე ვერ ვნახე მინდორზე  
ისეთი ანანიძე, როგორიც მინდო-  
და (ჟუფრო სწორად - გვინდოდა),  
რომ მენახა. ის მთელი თამაშის  
განმავლობაში ექცებდა თავისი ად-  
გილს მინდორზე და ლამის ყველა  
პოზიციაზე ითამაშა, გარდა -  
შემქმნელი საყრდენისა. არადა,  
სუკეთესო თამაში ნაკრებში მას  
სწორედ ამ პოზიციაზე ჰქონდა.

## რათომ ზეიცვალა ჰანტურია?

რა თქმა უნდა, ამხანაგურ მატ-  
ჩებში მწვრთნელს ექსპერიმენტების  
ყველანაირი უფლება აქვს. და მა-  
ინც, ვაისა ძალიან უნდოდა სადები-  
უტო თამაშის მოგება. მეჩვენება,  
რომ სლოვაკი მოგვიანებით დაფიქ-  
რდა შედეგზე. აპა, რით უნდა ავხს-  
ნათ გოორგი ჭანტურიას გაყვანა  
პირველი ტამის შემდეგ? თორნიკე  
ოქრიაშვილთან ერთად ის ყველაზე  
აქტიური და მწვავე იყო ეროვნული  
გუნდის შემადგენლობაში.

მათი გუდურობა!

ვაისის განვერთნილი გუნდები ყოველთვის გუნდურ ფეხბურთს თამაშობდნენ. სწორედ ამით „გაიტანა ლეონ“ თავის დროზე სლოვაკეთის ნაკრებმა გუშინდელი მატჩის მეტნანილში საქართველოს ნაკრებს

გუბდური ფეხზე კორა არ უთაბაძის.  
ეს პრობლემა ახალ მწვრთნელს  
აუცილებლად მოსაგვარებელი  
აქვს. ჩვენს ბიჭებს ძალიან უყვართ  
ინდივიდუალიზმი და ისინი გარკ-  
ვეულ ჩარჩოებში უნდა მოექცნენ.  
ამას ცხადაძე ძალიან კარგად  
ახერხებდა. იმდინა, ვაისიც მოა-  
ხერხებს...

## დავით ლორიძა:

# რომა ლინეამ არანაზე საქართველოს პიმპ გაისმა, მანში უჩანვითებება დაიმისა

● მერაბ მამულაშვილი



## დავით ლორიძა

დაიბადა 1981 წლის 31 ოქტომბერს, ცელინოგრადში (ამჟამად ასტანა/ყაზახეთი) პოზიცია: მეკარე

## ასელგაზრდა კარიერა

1995 შსკა  
1996-97 რეფილდ სიმი  
ფალგონი დასთალია

## პროფესიული კარიერა

1998-02	შანისი ასთანა	57
2003	ესილი	7
2004-08	შახთიორი	110
2006	ასთანა	24
2007	ჰალსოუ	7
2009	ნალიბაი	2
2009	ინდიჭი	55
2012-13	რიასფორი	33
2013-14	მაირათი	16
2014-15	მარშიანა	8
2015-	ინდიჭი	3

## სამართლი კარიერა

1999-00 ყაზახეთის 21 24  
2000- ყაზახეთის  
ეროვნული ნაკრები 38

## გიგანტი

აღმოსავლეთ აზიის თამაშები (ოსაკა, იაპონია 2001): ბრინჯაოს მედალი



ყაზახი  
ლორიძა,  
რომელიც  
საქართველოს  
ნაკრებს  
ქომამობს

ალბათ, იშვიათი ამბავია, რომ ორი ქვეყნის ნაკრების კარს ერთი და იმავე გვარის მეკარე იცავდეს. ამის შანსი იყო 29 მარტს, როცა საქართველოსა და ყაზახეთის ნაკრებების მწვრთნელებმა, შესაბამისად, გიორგი და დავით ლორიძები გამოიძახეს თბილისური სპარინგისთვის. თუმცა ვლადიმირ ვაისმა-შებელი ნუკრი რევიშვილის დაყენება გადაწყვიტა და გიორგი ლორია დაასვენა, ხოლო სტუმრების დამრიცებელმა „თავისი“ ლორია ათამშა...“

„პავლოდარის „ირტიშისა“ და ყაზახეთის ნაკრების მეკარე დავით ლორია „ლელო week-ის“ რესპონდენტია. მან ყაზახეთის ეროვნულ გუნდში 38 მატჩი ჩაატარა და ყოფილი საბჭოების ამ ქვეყანაში რეკორდს მერია თავის პოზიციაზე.“

30 წლის მეკარე კარიერის დასაწყისში მოსკოვის ცსკა-სა და ავსტრალიურ „ენფილდ სიტი ფალკონსში“ თამაშობდა, შემდეგ შეედურ „პალმსტადში“, ნალჩიკის „საპარტაკსა“ და ნამყვან ყაზახურ კლუბებში ირიცხებოდა. უთამაშია თურქეთში - „რიზეს-ფორსა“ და „ქარშიაქაში“. 2013-14 წლებში, როცა ალმათის „ქაირათის“ ლირსებას იცავდა, მას იქ საქართველოს ეროვნული ნაკრების ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი ვლადიმირ ვაისი ავარჯიშებდა. 2015 წელს ის პავლოდარის „ირტიშში“ დარუნდა...

საქართველოსთან მატჩის მეორე დღეს ყაზახეთის დელეგაცია თბილისში დარჩა და ლორიასთან გასაუბრების შანსიც სწორედ მაშინ გაგვიჩნდა. დავითს სასტუმრო „პოლიდეი ინში“ ვესტუმრეთ...

## აფხაზეთიდან

### ყაზბეგი

- გამიგია, რომ ყაზახეთში თქვენი ბაბუა მაშინ გადასახლდა, როცა კომუნისტმა ყამირის ათვისება გადაწყვიტეს...

- იმ დროს კი გადასახლდა, მაგრამ არა - ყამირის ასათვისებლად. რეალური ისტორია ცოტა სხვაგვარადაა. ბაბუაჩემი, ოთარ ლორია, გუდაუთიდან იყო. 50-იან წლებში ოდესაში უმაღლესი ლიგის კლუბში თამაშობდა და საქმა-ოდ კარგ დონეზეც. 60-იან წლებში ყაზახეთში, კერძოდ, ცელინოგრადში, ამჟამინდელ ასტანაში, გუნდის მწვრთნელად მიინვიეს და დასახლდა კიდეც იქ მეუღლესთან ერთად, თან მამაჩემი და მამიდაჩემიც წაიყვანა. მერე ბაბუა და ბებია გუდაუთაში დაბრუნდნენ. მამა, გრიგოლ ლორია, იქ გაიზარდა, ჯარში წავიდა, 19 წლისა ყაზახეთში დედაჩემზე დაოჯახდა და ცელინოგრადში დარჩა, ისევე, როგორც მამიდა, რომელიც ასევე ყაზახეთში გათხოვდა.

- თქვენი მეუღლის ოჯახიც საქართველოდან ყოფილა...

- დაახ, ასეა. მეუღლე რუსია, მაგრამ მისი მამინაცვალია ქართველი.

- ბაბუასავით, ფეხბურთს მარც თამაშობდა?

- დიახ, საფეხბურთო ოჯახი გვყავს. მაგრამ მამაჩემმა მხოლოდ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მეორე ლიგაში ითამაშა. მერე მწვრთნელობა დაიწყო და ცელინოგრადის „ცელინას“ ავარჯიშებდა. ფეხბურთიდან გარკვეული ხნით წავიდა, 1996 წელს კლუბში პრეზიდენტად დაპრუნდა და ამ რანგში 7 წელი იმუშავა. ორჯერ კლუბი ჩემპიონი გახადა. მერე ყარალანდის „შახტიორსა“ და „ესილს“ ხელმძღვანელობდა, მერე ისევ „ასტანას“, ახლა კი



პეტროპავლოვსკის „ყიზილჯარში“, სადაც ქართველი დათო ჩაგელიშვილი თამაშობდა.

### ბედუინური პარიერა

- ავსტრალიაში როგორ აღმოჩნდით?



- მამაჩემის ბიძა, დავით ლორია, 40 წლის წინ ავსტრალიაში წავიდა. ნელ-ნელა, ყაზახეთსა და გუდაუთაში მცხოვრები ჩემპიონატებიც იქ ჩავიდნენ. ახლა ავსტრალიაში ქართველების საკმაოდ დიდი დიასპორაა. ბავშვი რომ ვიყავი, ოჯახმა ჯერ მოსკოვში ცსკა-ს სკოლაში გამიშვა, შემდეგ კი ავსტრალიაში - ნათესავებთან. იქ სკოლაში ვსწავლობდი და „ენფილდ სიტი ფალკონსის“ სკოლის გუნდში ვთამაშობდი.

- ყაზახეთისა და ავსტრალიის გარდა, იყო შვედეთი, რუსეთი, თურქეთი...

- ყველაზე დიდი სიხარული მაინც ნალჩიკის „სპარტაკში“ გადასვა იყო, რადგან ეს გუნდი, სხვებთან შედარებით, უფრო მაღლალი დონის ჩემპიონატში - რუსეთის პრემიერლიგაში თამაშობ-

და. ამ დროისთვის მეკარე საშაჩიხრაძე უკვე წასული იყო. ალეკო ამისულაშვილს, გოგიტა გოგუასა და დათო სირაძეს კი იმ დროიდან დავუმეგობრდი. მათი დამსახურებაა, ქართული ცოტა მაინც რომ მესმის. ერთმანეთში სულ ქართულად ლაპარაკობდნენ, მე კი ნომერში გოგიტასთან ერთად ვცხოვრობდი და სხვა გზა არ მქონდა, მათი უნდა გამეგო. სხვათა შორის, მიხარია, რომ გოგუა ახლაც ჩემი თანაგუნდელია.

- საქართველოში ჩამოსვლა გინედათ?

- ბაგშვილაში, სანამ აფხაზეთში ომი და უბედურება დაიწყებოდა, ჩემი ივახა ყოველ წელს გუდაუთაში ისევნებდა. მერე კი ეს ვეღარ ხერხდებოდა. სხვათა შორის, „რიზესფორში“ გადასვლის დროს ბათუმში ხშირად დავდიოდა. საზღვარზე დახედავდნენ პასპორტს და გაოცებულები მიყურებდნენ - ბიჭო, შენ ხომ ჩემიანი ხარო?! ხალხისგან სითბოს ვერდნობდი და ბათუმში ჩასვლა მიხაროდა. ისედაც, ულამაზესი ქალაქია.

## ჩემი მომვარე

### მიღორმი

- გასაოცარი დამთხვევებია: ლორიას გვარის ფეხბურთელები თამაშიები მექანიკში, ლისაბონის „პენფიტაში“, გვატემალაში. ყველაზე ცნობილები კი იყვნენ სერია A-ში წათამაშები იტალიელი სიმონე ლორია და კუბერო, იგივე ხსეს მიგელ კუბერო ლორია, რომელიც მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე კოსტა რიკის წაკრების წევრი იყო. რა გსმენიათ მათზე?

- რა თქმა უნდა, ეს ამბები სულ მაინტერესდებდა და მაცოცებდა. სხვათა შორის, ავსტრალიაში ცხოვრების პერიოდშიც გავიგე, რომ ჩემპიონი გვარი იქაურ იტალიელებში იყო გავრცელებული და გაონებული ვიყავი. ესპანეთშიც ბევრი მოგვარე გვყავს. მე მხოლოდ გიორგე და სიმონე ლორიები თამაშები მინახავს. კოსტარიკელზე კი არაფერი მსმენია. საიდან და როგორ მოხვდნენ ლორიები ამ ქვეყნებში, ან რატომ გვყავს იქ მოგვარეები, ამის ახსნა არ შემიძლია.

- გიორგი ლორიას თუ იცნობ?

- ცხოვრებაში პირველად 29 მარტის ამზადაც გური მატჩის დაწყების წინ ჩამოვართვი ხელი.





იმ დღეს გავიცანი, როცა „დინა-მო არენის“ გასახლელიდან სათა-მაშოდ გავდიოდით.

- როგორი იყო ეს შესვეღრა?
- ძალიან თბილი და ძმური.
- პირველი ნაბიჯი თქვენ გა-დადგით თუ გიორგიმ?

- ეს ინსტინქტურად მოხდა. ვფიქრობდი, რომ უნდა მენახა და როცა მე მისკენ წავედი, ის ჩემს-კენ წამოვიდა, გულიანად მომე-სალმა და ერთმანეთს გადავეხვი-ეთ. ვიცოდი, რომ გიორგი ერთ ტამის მაინც ითამაშებდა. მაგრამ დავინახა, რომ წუკრი იყო მო-თელვაზე. გამიკვირდა. მერე მითხრეს, რომ ვასმა რევიშვილი კლუბში უთამაშებლობის გამო დააყენა და ეს გასაგები გადაწყ-ვეტილება იყო.

- გიორგის თამაშებს თვალ-ყურს ადევნებთ?

- რა თქმა უნდა?! როცა საქერ-ძნეთში თამაშობდა, მისი ამბებით სულ ვინტერესდებოდი. ახლაც, „კრისტიან სოვეტოვში“ ძალიან კარგად გამოიყირება. ისიც მას-სოვს, ესპანეთთან უმაღლეს დო-ნეზე რომ ითამაშა.

- როგორც პროფესიონალი, გიორგის როგორ დაახასიათებთ?

- ძალიან თანამედროვე მეკა-რეა, პლასტიკური, მშვენიერი რე-აქციით, ფეხითაც კარგად თამა-შობს, გამოსვლებზეც და ხაზზეც. მარტო მოგვარეობის გამო არ

ვამბობ ამას, თანა-მედროვე, მაღალი დონის მექარეა. საერთოდ, მისი და ნუკრი რევიშვილის სახით სა-ქართველოს ძალიან ძლიერი მე-კარები ჰყავს. თან ისინი ძლიერ ლიგაში არიან, მაგრამ იმედია, მა-ლე კიდევ უფრო მაღალ დონეზე ითამაშებენ.

## მეორე დაბრუნებას საქართველოსთან

- ამის შანსი თავადაც გქონ-დათ, მაგრამ ყაზახეთში დაბრუნ-დით...

- ძლიერ გუნდებში მოხვედრის მრავალი შანსი მქონდა. მაგალი-თად, ყაზანის „რუბინსა“ და „ეინ-დჰოვენში“ მიწვევდნენ. მაგრამ რაღაც არ გამოვიდა. რაც მაქსა, ღმერთს ამითიც ვემადლიერები.

- თბილისში, საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ, ყაზახეთის ეროვნულ გუნდში სუთნლიანი პაუზის შემდეგ ითამაშეთ. ასეთი ხანგრძლივი განშორება რით იყო გამოწვეული?

- დიას, გარემოებები ისე აენყო, რომ ეს წაკრებში ჩემი მე-სამე დაბრუნება გამოდგა. დები-უტი 18 წლის ასაეში მქონდა, მაგ-რამ 21 წლის ვიყავი, რომ დავშავ-დი და ერთი წელინადი ფორმის აღდგენა მოვანდომე. სხვათა შორის, ბედის ირონია, რომ წაკ-რებში მაშინაც საქართველოსთან მატჩის წინ დავბრუნდი - 2005 წელს ალმათში რომ ვითამაშეთ. მაშინ გიორგი დემეტრაძემ დუბ-ლი შეასრულა და ყაზახეთმა 1:2 ნააგო.

- გამოდის, ხშირად უნდა შევხ-ვდეთ ხოლმე...

- (იცინის) სიამოვნებით. მოკ-ლედ, წაკრებში დამაბრუნებული, მაგ-რამ 2009-10 წელში ისევ არ მიწ-ვევდნენ. 2011 წელს ისევ ვითამა-შე და მერე გაცილებით ხანგრძ-ლივი პაუზა მქონდა, რადგან 5 წლის განმავლობაში აღარ მიწ-ვევდნენ.

- მართალია, რომ ამას მამა-ქვენის გამო გიყეთებდნენ?

- ამ თემაზე ლაპარაკი არ მსურს. ჯერ ტრავმა მივიღე, მერე მოვმჯობინდი და მეგონა, მიმიწ-ვევდნენ, მაგრამ... ასე არ მომხ-დარა. არადა, ძალიან კარგ სეზო-ნებს ვატარებდი... არ ვიცი, რა ხდებოდა. მიზეზი წაკრების მწვრთნელებს უნდა ეთქვათ. იქ-ნებ ყველაფერი ჩემი ბრალი იყო?

## ვაისი, საქართველო და ყაზახეთი

- 2013-14 წლებში ალმათის „ქაირათში“ საქართველოს ნაკ-რების ამჟამინდელი მთავარი მწ-ვრთნელი ვლადიმირ ვაისი გა-ვარჯიშებდათ. როგორ დაახასია-თებდით მას?

- ძალიან მაღალი დონის სპე-ციალისტია. იცის, რა უნდა და როგორ ჩამოაყალიბოს გუნდი.

- სხვათა შორის, ყაზახეთის ნაკრებს ექიმი მეუბნებოდა, ახ-ლა უკავითვილოები ხართ, მაგ-რამ ერთი წლის შემდეგ საქართ-ველოს ნაკრებს ვერ იცნობთ, იმ-დენად კარგი მწვრთნელიათ...

- ფაქტია, რომ ალმათის „ქაი-რათი“ მართლაც არ იყო ძლიერი გუნდი და ის ევროპის ლიგაში სწორედ ვაისმა გაიყვანა. რატომ-დაც მგონია, რომ საქართველოს ნაკრების ძალიან ტექნიკურ და საკმაოდ მაღალი კლასის მოთა-მაშეებთან მუშაობით, ვაისს შე-დეგის მიღწევა შეუძლია.

- როგორც მახსოვეს, წლების წინათ, საქართველოში თამაშს გთავაზობდნენ...

- დიას, ეს 2004 წელს იყო, როცა თბილისის „დინამი“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდა. მაშინ კლუბს ცხონებული დავით პეტრი-ზე ვილი ხელმძღვანელობდა...




- „დინამოსთან“ კონკრეტული მოლაპარაკებები გქონდათ?

- დიას, კონკრეტული მოლაპა-რაკებები იყო.

- უარი თავად თქვით თუ სხვა მიზეზი იყო?

- „დინამოსთვის“ უარი არ მითქვას, მაგრამ ბოლომდე მა-ინც ვერ გავიგე, რატომ არ შედგა ეს ტრანსფერი. ფაქტია, რომ მო-ლაპარაკება შეწყდა...





## სისხლი თავისას ურება

- კარიერის დასრულების შემდეგ რას აპირებთ?

- ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით, კლუბებმა ეროვნული გუნდის წევრების სწავლა დააფინანსეს. ამის შედეგად, სამი წლის წინ, უფასას A ლიკენზია მივიღება, ალბათ, მწერონელად ვიმუშებ. კარიერის დასრულებამდე პრო-ლიკენზიის მიღება არ შეგვიძლია, მაგრამ ამაზეც ვიზრუნებ.



თავისუფალი  
თემა

მუნიკა  
თავისუფალი

# ყველაზე


გია სანაძეს ყველაზე დახვეწილი სროლა ჰქონდა. ქართველებში. მე ვინც მინახავს, იმათში. ელეგანტური ანევა, სწრაფი გაშვება და ბურთი თითქმის ყოველთვის ჩადიოდა იქ, სადაც უნდა ჩასულიყო. ნუ, თითქმის ყოველთვის. და თუ სანაძე ვერ აგდებდა, იმ არაზუსტ სროლას ვერ იხსენებდი. ყოველთვის ის, მეორე სროლა გახსოვდა. რომელიც გიამ ზუსტად შეასრულა და რომელიც გიას ცივი იარაღი იყო. დამოუკიდებელი ქართული კალათბურთის ისტორიაში სანაძე ყველაზე მაგარი მსროლელი იყო. არის. დაან დიდი პერიოდით დარჩება. დღეს ეგრე ველარ ისვრიან. დღეს ცოტა ცუდად ისვრიან...

სანაძე ძველი სკოლა იყო. სანაძემ საკუთარ სროლაზე იმუშავა. დღეს საკუთარ თავზე ელუბებში მუშაობენ. თამაშის წინ რომ ხოშიანი დოპინგი მიიღონ. გიას დროს კალათბურთელი კალათბურთელზე ფიქრობდა. დღეს კალათბურთელი ვარჯიშის სწრაფად დამთავრებაზე ფიქრობს. რომ სადმე მოტყდეს და კარგი დრო გაატაროს. ადრე კარგ დროს სპორტის სასახლეში ატარებდნენ. ვატარებდით. ადრე ასწორებდა. სულ სხვა მულამი იყო. დღეს გია სანაძე არ თამაშობს. დღეს საქართველოს ჩემპიონატში ასე ვერ ისვრიან.

სუპერლიგის საუკეთესო მსროლელებს ვუყურებ. ვინც ითვლება, რომ სტაბილურად უნდა ისროლოს, ვინც უნდა იყოს ლიდერი ან სანდო მოთამაშე. და მხოლოდ ორ გვარს ვიმახსოვრებ. ორ მოთამაშეს. ორ კარგ მსროლელს. ორ სხვაზე უკეთეს მსროლელს. ორ სტაბილურ მსროლელს, ვინც ლამაზად იწევა, სწრაფად უშვებს ბურთს და იცის, რომ გუნდს პრობლემები აქვთ. ეს პრობლემები მოსაგვარებელია. იმ ერთი სროლით. იმ ერთი მსროლელისგან. რომელიც არ უნდა სუნთქავდეს, როგორც რენტგენზე. რომელიც არ უნდა ენეოდეს თამაშამდე ხუთ „სობრანიეს“ და ოთხ „ქემელს“. რომელიც არ უნდა იღლებოდეს ბევრად იოლი თანაზმით. რომელიც უნდა იყოს დასვენებული. რომელიც უნდა ისროდეს და გუნდი არ უნდა კარგავდეს მის ნდობას.

სანაძის დროს ესე იყო. დღეს რაღაცები შეიცვალა. დღეს არ არის მოქმედი გია სანაძე. დღეს საქართველოს ჩემპიონატში სხვა მსროლელები დარჩნენ. დღეს საქართველოს ჩემპიონატში არაზუსტ სროლას არ განიცდიან. დღეს არაზუსტი სროლის შემდეგ მაინც ახალ დივეზიზე და სასიამოვნო საღამოზე ფიქრობენ. ცუდია, რომ ცუდია.

სანაძის დროს კალათბურთელები კალათბურთზე უფრო ფიქრობდნენ. და გია სანაძე საუკეთესო მსროლელი იყო. გია სანაძის შემ-



დეგ იყვნენ კარგი, ძაან კარგი მსროლელები, მაგრამ ვერავინ ვერ მივიდა ახლოს გიასთან. დღეს ძაან მძიმედ ვართ. ის ორი კაცი, ვინც გამასხვნდა. მიშა ჭოჭუა და ბესო ლეუზავა. სხვებზე უკეთესები. ორივე იყო საქართველოს ნაკრებში. ორივემ კარგად ითამაშა.

ჭოჭუა „რუსთავშია“. რა მნიშვნელობა აქვს. ლეუზავა „დინამოშია“. ესეც არ არის მთავარი. ჭოჭუა დაცვაშიც იღლება. ლეუზავა უფრო სწრაფად უშვებს ბურთს და მიშაზე უყურადლებო დამცველია. ორივეს აქვს ბევრი პლიუსი და ორივეს აქვს ბევრი მნუსი. ორივე კარგია და ორივე უშვებს შეცდომებს. დაცვაში, სროლის დროს, სროლის მომზადების დროს, თამაშის დროს. შეცდომებს გია სანაცეც უშვებდა. და გია სანაძე მაინც ყველაზე მაგარი, კლასიური მსროლელი იყო. ესენი, მიშა და ბესო გიასთან ახლოს ვერ მიდიან და დღეს საუკეთესოებად ითვლებიან.

სტაბილური სროლის გარდა, მსროლელი ბურთს ლამაზად, კლასიურად უნდა ისროდეს. არ უნდა გრჩებოდეს შთაბეჭდილება, რომ მას ხელი აქვს მოტეხილი, ან კლუბში, თამაშამდე ერთი დღით ადრე, სადღაც თაბაშირი დარჩა და თამაშზე გაკეთება დაავიწყდა. ძირითადად, ესეთი შთაბეჭდილება გრჩება და ძირითადად, ჩვენი მსროლელები არასწორად ისვრიან ბურთს. მიშას, ბესოს და კიდევ რამდენიმე პერსონაჟის გარდა. მაგრამ ჭოჭუა და ლეუზავა მაინც გამოიჩინებიან. როგორც ადრე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის დროს, გამორჩეული იყო გია სანაძე. მაგარი იყო.

მართლა რა ლამაზად ისროდა გია. ამერიკული თორილერები მახსენდება. სადაც ყოველთვის არის ერთი მონესრიგებული, ცოტა შეუმჩნეველი ტიპი, რომელმაც მთავარი გმირი ან თითქმის მთავარი ტიპი უნდა გააგოროს. მოიშოროს. დაასვეროს. შუთერი. სნაიპერი. ჰიტმენი. მშვიდი მსროლელი. იმ ტიპში არ უნდა გააფუქოს. ან, შეძეგ შეკვეთაზე სხვას წამოიყვანენ და ეს ბიზნესზე ცუდად იმოქმედებს. საკუთარი ბიზნესი უნდა დაიცვა და ყველაფური ხუთიაზე წავა. საკუთარ ბიზნესს უნდა გაუზროთხილდე და ყველაფური გაასწორებს. საკუთარი ბიზნესით უნდა იამაყო.

გია სანაძის ბიზნესი სროლა იყო და გიამ ამ საქმეში გაქაჩა, კარგი ბიზნესმენი გახდა. სანაძე იღებდა შეკვეთებს და ასრულებდა. ის ბოლო სროლის წინ დასვენებული იყო. ის იღლებოდა და მაინც დასვენებული იყო. მსროლელმა არ უნდა ისუნთქოს, როგორც რენტგენზე და გია არ სუნთქავდა. და გიას

# კარგი აუზე

სროლების შემდეგ, სხვები არ სუნთქავდნენ. გათიშულები იყვნენ. სანაძემ კიდევ ერთხელ ისროლა. და ჩააგდო. და ბრძოლის ველიდან კიდევ ერთი უსულო საგანი არის გასატანი. პროცესი არ იცვლებოდა. სანაძე საუკეთესო მსროლელი იყო.

არ მესმის, რატომ ასწავლიან ბავშვებს ასე უშოდ, არასწორ სროლას. ბავშვებო, გამოფხიზლდით და დაიწყეთ საკუთარ თავზე მუშაობა. ხეიბარი მსროლელები არავის არ უნდა. და ხეიბარ მსროლელებს კარგი მსროლელებით მშორებენ და ეს პროცესი ძალიან სწრაფად იწყება და უფრო სწრაფად მთავრდება. ეს პროცესი ვერ შეიცვლება. კარგი მსროლელი უკეთესმა მსროლელმა უნდა შეცვალოს. რომ ბიზნესი არ დაზიარალდეს და შენი საქმე სხვებმა რომ არ გადაინანილო.

სროლა ბიზნესია. სანაძემ იმ უნგრულ გუნდს ჩაუგდო. სანაძემ საქართველოს ნაკრების ბევრ მონინააღმდეგეს ჩაუგდო. სანაძე იყო ეპოქა და იმ ეპოქაში იყო ნდობა, სტაბილურობა და პროფესიონალიზმი. იმ ეპოქაში იყო გია სანაძე, რომელიც იწეოდა და აგდებდა. სხვები იწევიან და ვერ აგდებენ. სანაძე იყო პროფესიონალი. სხვები არ ცდილობენ, რომ გახდნენ პროფესიონალები. სანაძე იგებდა კლასით და უდიდესი სურვილით, ლტოლვით. სხვები აგებენ უდიდესი სურვილით და ლტოლვით. რომ ძაან სწრაფად უპასუხონ ბრიფინგზე ერთ-ნახევარ კითხვას და მოხიონ კლუბში. ან, სადმე, სადაც არ ივარჯიშებენ. ჩვეულებრივი მომენტია. სამუხაროდ, უკვე ძალიან ჩვეულებრივი.

კარგი მსროლელები ადრე იყვნენ. დღეს ყველაფერი კარგი ცუდზე ოდნავ უკეთესია. და მართლა კარგი აღარ არის. მართლა კარგი არის გია სანაძე. რომელიც დღეს ვეტერანებში თამაშობს და კარგად ყომარობს. საკმაოდ კარგად. ისინი, სხვები გიას ძეველ ჩანაწერებს არ იცნობენ. ისინი გიას იცნობენ და არ იციან, რომ გია თავისი თაობის ყველაზე ცივსის-

ხლიანი მსროლელი იყო. როგორც მარკ უოლბერგი იმ ერთ სუსხიან ფილმში.

ახალი თაობა ირჩევს სტეფ კარის და კარი ალბათ, კალათბურთის ისტორიაში საუკეთესო მსროლელია. კარი ძალიან კარგია. კარი არ იღლება. კარის ენერგია იზრდება. კარის აქვს ლტოლვა და კარის აქვს სურვილი. რომ საუკეთესო გახდეს. იდენტური სურვილი იგებდა, აგდებდა, იწეოდა და კიდევ ერთხელ აგდებდა რეი ალენი. იგივე სურვილით კლავდა „ნიუ იორქს“

რეჯი მილერი. იგივე სურვილით იგებდა თამაშებს ლარი ბერდი. ყველაზე გენიალური მსროლელი. კალათბურთის ისტორიაში.

ბერდი ხანდახან ძალით მიდიოდა ახლოს ოპონენტთან, რომ მას, მეორე მოთამაშეს მაქსიმალურად ახლოს აენია ხელი, ჩაერტყა ლარისთვის და ლარი ამას უურადღებას არ აქცევდა. ლარისთვის არსებობდა ბურთი და მეორე გუნდის ტერიტორია. სადაც ლარი უვიზოდ გულაობდა. სადაც ლარი იყო სხვისი სიზმრების მბრძანებელი და სადაც ლარი იყო კალათბურთის იარალი. დუდაც კარგად ისვრის. და ხშირად აგდებს. ისიც სწრაფად იწევა. ისიც კარგია. ისიც სხვაზე უკეთესია, მაგრამ ის არ არის მამამისი. რომელიც კლასიური მსროლელი იყო. რომელიც იმ ერთი სროლით იგებდა. დუდამ ცოტა სწრაფად რეაგირება უნდა ისწავლოს.

ბურთის საუკეთესო მეგობარი. რა კარგია, როდესაც ასეთი მეგობრები გყავს. რა კარგია, რომ იყვნენ კარგი მსროლელები. როგორ გაგვიმართოლა, რომ გია სანაძე თავის ამბებში საუკეთესო იყო. გია სანაძე თავის საქმეში მართლა გამორჩეულად კარგი იყო.

მეორე სანაძეც არის. დუდა. რომელიც ამერიკაში ბერეს სწავლობს. ამდენს ამერიკაში ამერიკელები არ სწავლობენ. სანაძე იყო ნაკრების მომავალი და დღეს, თორნიკე შენგელიას შემდეგ, დუდა ნაკრების ყველაზე პერსპექტიული მოთამაშე და რეალური იარალი. დუდაც კარგად ისვრის. და ხშირად აგდებს. ისიც სწრაფად იწევა. ისიც კარგია. ისიც სხვაზე უკეთესია, მაგრამ ის არ არის მამამისი. რომელიც კლასიური მსროლელი იყო. რომელიც იმ ერთი სროლით იგებდა. დუდამ ცოტა სწრაფად რეაგირება უნდა ისწავლოს.

დუდა უფრო მყარად უნდა იდგეს მოედანზე. დუდა ნაკლებ უნდა აქცევდეს მეორე გუნდის დამცველებს, რომლებიც მას, დუდას ყოველთვის შეანუხებენ და ყოველთვის შეუქმნიან დისკომფორტს. ესეც ჩვეულებრივი მომენტია და დუდამ ეს გაიგო. პატარა სანაძე ძალიან კარგი მსროლელია და დიდი სანაძე საუკეთესო მსროლელი იყო. კარგია, რომ ხარ კარგი. და ძაან მაგარია, როცა ხდები საუკეთესო. და როცა ეს სხვებმა იციან.

გია სანაძე საუკეთესო იყო. დუდა სანაძე გიას ბიჭია, რომელიც ცოტა მოურიდებელი უნდა გახდეს. და ყველაფერი კარგად, უკეთ უნდა ნავიდეს. ორივე სანაძეა. ორივე მსროლელი. და დუდას საუკეთესო მაგალითი ყოველთვის მამამისი უნდა იყოს. რომელმაც სროლას ცხოვრება დაუთმო. რომელიც სანდო მეგობარი და არაჩვეულებრივი მსროლელი იყო.

ლამაზად იწეოდა, სწრაფად უშვებდა ბურთს და აგდებდა. და იგებდა.

მომავალ შეხვედრამდე, კალათბურთის მეგობრებო! ●





● ალექსო კაპაურიძე

უკრაინის ნაკრებში დიდი ამბები ხდება. ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე რმდენიმე ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობას ჩამოაშორეს. ქვეყნის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ კვიპროსთან ამხანაგური მატჩის წინ უკრაინის ნაკრების ფეხბურთელებს ცეცხლსასროლი იარაღები გადასცა. მთავარი კი მაინც მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდის, ახდრეი შევჩენკოს დაპრუნებაა. ის ეროვნული ნაკრების თავკაცის, მიხაილ ფომენკოს თანაშემწედ იმუშავებს...

# ასე იცხვავიან ნახავთ ჰაზრიოთი... ადრენალინი შევჩერებოს 506, უპრაინდი!

ეს ჯერ კიდევ თებერვალში გადატყვდა. მთავარი მწვრთნელის თანაშემწინის პოსტზე ანდრიი შევჩერენკოს დებიუტი ახლახან, კვიპროსთან ამბანაგურ შეხვედრაში ჰქონდა. ის მატჩი უკრაინამ მინიმალური ანგარიშით, 1:0 მოიგო. შევჩერენკო მთავარი მწვრთნელის გვერდით იჯდა.

უკრაინის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ანდრეი იარმოლენკო ამბობს: „ის ჩვენი თაობისთვის ნამდვილი კუმირია. უზომიდ გახარებულნი ვართ ყველანი იმის გამო, რომ ანდრეი ჩვენთანაა. ჩვენ მასში მხოლოდ მწვრთნელს კი არა, თანაგუნდელს, მეგობარს და პარტნიორს ვხედავთ“.

ახლა მოვუსმინოთ უკრაინის ნაკრების კიდევ ერთ ლიდერს, რუსლან როტანს: „გუნდში შევჩერენკოს ყოფნა აუცილებელია. დიდი მადლობა უნდა გადავუხადო ქეთვის ფეხბურთის ფაზერაციას, ასეთი გადაწყვეტილება რომ მიიღო. ანდრეი შევჩერენკო არის კაცი, ვინც გამარჯვებასთან ასოცირდება. ჩვენთან ის კონკრეტული მისით მოვიდა. ევროპის ჩემპიონატზე წარმატებას უნდა მივაღწიოთ“, - ამბობს როტან.

მოგეხსენებათ, თავის დროზე შევჩერენკომ ძალა პოლიტიკაში სცადა. ახლა ის ამას ალარ აპირებს. უურნალისტებს მან უთხრა: „მე ნაკრების სამწვრთნელო შტაბში ვმუშაობ. აქედან გამომდინარე, არ გუპასუხებ არცერთ კითხვას, რომელიც პოლიტიკას ეხება. დღეს ჩვენი ქვეყანა ისეთ

მდგომარეობაშია, რომ ყველა გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ეროვნის ჩემპიონატზე წარმატებას უნდა მივაღწიოთ“, - ამბობს შევჩერენკო, ვინც ნაკრების სამწვრთნელო შტაბში უკრაინული ფეხბურთის კიდევ ერთი ლეგენდა - ალექსანდრ ზავაროვი შეცვალა.

„მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ზავაროვს იმ ფასდაუდებელი სამუშაოსთვის, რომელიც მან უკრაინის ნაკრებში გასწია. ვეცდები, დირსეულად გაგარძელო მისი გზა. ფაქტია, პასუხისმგებლობა ძალიან დიდია“, - ამბობს მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა.

შევჩერენკოს უკრაინის ნაკრებში კონკრეტული ფუნქცია აქვს. მან შემტევი ფეხბურთელების გარჯას მეტი მრავალფეროვნება და შედეგიანობა უნდა შესძინოს.

„თავდამსხმელებთან მუშაობა ჩემი სტიქია. ჩვენ შეტევაში კარგად უნდა ვითამაშოთ. უნდა ვიცოდეთ, რა და როგორ უნდა ვაკეთოთ. გუნდის თამაში ერთ რგოლში არაფერს ნიშნავს. მთავარია, მთელმა მექანიზმია აწყობილად იმოქმედოს“, - მიიჩნევს შევჩერენკო.

რა პერსპექტივა აქვს უკრაინის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე? ამის თაობაზე შევჩერენკოს თავისი აზრი აქვს.

„რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვუვს ყველაზე ვარსკვლაური შემადგენლობა, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე და სხვა დიდ ტურნირებში ძალიან შეიძლო, გაცილებით მაღალაზდაურებადი სამსახური ეშვება. ამის მიუხედავად, მან

პლანზე სხვა კომპონენტები გამოდის. თუ ჩვენ თავდადებით და გუნდურად ვითამაშებთ, მაშინ აუცილებლად გაგაბარებთ ერთგულ გულშემატყივარს. შეგვიძლია, სიურპრიზი შევთავაზოთ საფეხბურთო მსოფლიოს და ეს ყველამ კარგად ვიცით. თვალწინ გვაქვს საპერმენითი მაგალითი კონტინენტის 2004 წლის პირველი მატბაზე ბერძნების წარმატებას მაშინ?“ - ასე მსჯელობს შევჩერენკო.

მან უკრაინის ნაკრების მთავარ მწვრთნელზე, მიხაილო ფომენკოზეც ილაპარაკა. ფომენკოს გამოცდილება არ აკლია, ქართველ ქომაგს ის ჯერ კიდევ ლამზეუის „გურიას“ დამრიცებული მიმდინარე უნდა ასრულდეს.

„ფომენკოს ზურგს უდიდესი გამოცდილება უმაგრებს. როგორც წესი, ეს ძალიან მნიშვნელოვანია დიდ ტურნირებზე. მე მასში ბევრი რამ მომწონს და განსაკუთრებით ის, რომ არცერთ, თუნდაც ერთი შეხედვით გამოუვალ სიტუაციაშიც კი არ კარგაგს სიმჟღადეს და იმედს“, - ასე ახასიათებს ანდრეი თავის უფროსს.

ახლა თავად ფომენკოს აზრი მოვისმინოთ შევჩერენკოს თაობაზე. „ანდრეი ჩემი უშუალო ინიციატივით მოვიწიეთ ნაკრებში. როცა საქმე უკრაინის ნაკრებს ეხება, ქვეყნის პირველ გუნდში სწორედ ჩვენი საუკეთესო ძალები უნდა მოვიზიდოთ. მინდა, შევჩერენკოს მადლობა გადავუხადო, მას შეეძლო, გაცილებით მაღალაზდაურებადი სამსახური ეშვება. ამის მიუხედავად, მან

ნაკრებიდან წამოსული შეთავაზება მიიღო. ასე იქცევიან ნამდვილი პატრიოტები“.

თავად შევჩერენკო მიიჩნევს, რომ ფული ცხოვრებაში მთავარი არ არის:

„როცა ქვეყანას სჭირდები, როცა სამშობლოს უნდა შენისამსახური, გვერდზე ვერ გადგები. ფული არასოდეს დამითვლია. ფულზე მეტად სხვა ღირებულებები მომწონს. უკრაინის ნაკრები ჩემთვის არის ყველაზე ძირითასი გუნდი და როცა საშუალება მეძლევა, რაღაც გავაკეთოთ მისთვის, უკან ვერ დავისევ. ეს დიდი გამოწვევა აჩემთვის. პირდაპირ უნდა გითხრათ, რომ ღირსების საკითხია. ფეხბურთელებთან უკვე ვისაუბრე. თითოეულ მათგანში ენთუზიაზიმის კოცონი ანთია. სწორედ ასეთი ბიჭები სჭირდება უკრაინას. მე ასე დავისრულებდი საუბარს - ნინ, უკრაინა! ჩვენ ეს გულში უნდა ჩაეფილოთ. შეუძლებელი არაფერია“. ●



● აღმოჩენაში

ევროპულ სანაკრებო ფეხბურთში არიან მწვრთნელები, თავიანთი ქვეყნის ეროვნულ გუნდს დიდხანს რომ თავიაცობენ. ჩვენი დღევანდელი წერილიც სწორედ მათზეა. სის სათავეში გერმანიის ნაკრების თავკაცი იოახიმ ლიოვი უდგას...

### იოახიმ ლიოვი

გერმანია, 9 წელი და 8 თვე

გასული წლის ნოემბრამდე ამ სიაში პირველი ადგილი დანიის ნაკრების დამრმავებელ მორტენ ოლსენს ეჭირა. ის 15 წლის განმავლობაში თავიაცობდა ამ გუნდს. ოლსენი მაშინ ნავიდა, როცა დანია ევროპეურისარჩევის ორმატჩიან პლეი-ოფში დამარცხდა შვედეთთან...

რაც შეეხება იოახიმ ლიოვს, ის ჯერ კიდევ 2004 წელს შევიდა ნაკრების სამწვრთნელო შტაბში - იურგენ კლინსმანის თანაშემნე გახდა. 2006 წელს კი, გერმანული მუნიცილის დასრულების შემდეგ, კლინსმანმა ბუნდესნაკრები დატოვა და საქმე ლიოვს გადააბარა.

ლიოვის ხელმძღვანელობით გერმანია 2014 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ლიოვს დიდი ხანია ტოპკლუბებში ეპატიუებიან, მაგრამ ეროვნულ გუნდს ვერ ელევა.

### ვისენტე დელ ბოსკი

ესპანეთი, 7 წელი და 8 თვე

„რეალის“ ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა ნაკრები 2008 წელს ჩაიარა. დელ ბოსკეს ნაკრებში არ შეუტანა რევოლუციური ცვლილებები. ამის მოტედავად, „ფურია როხაზ“ 2010 წელს მუნიცილი, ორი წლის შემდეგ კი ევროპის ჩემპიონატი მოიგო. 65 წლის მწვრთნელმა განაცხადა, რომ ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ტრიუმფს ესპანეთის ნაკრების დამრიგებლის პოსტს.

### ერიქ ჰემმენი

შვედეთი, 6 წელი და 4 თვე

სკანდინავიულებს არ უყვართ ხშირი და მკვეთრი რყევები. ამის გამოა, ჰამრენი შვედეთი ასე ხანგრძლივად რომ შემორჩა. მისი ხელმძღვანელობით შვედეთი ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზე მოხვდა, რის შემდეგაც გუნდი ვერ გავიდა 2014 წლის მუნიცილზე, კარსმომდგარი ევროპის ჩემპიონატის საგზური კი პლეი-ოფ-ში გაინალდა.



იოახიმ ლიოვი

# იქ, სა აქვე რყევე უყვა

რეალის და ბოსკი

### ბოსკი და

პოლო ალვარესი

ანდორრა, 6 წელი და 1 თვე

45 წლის სპეციალისტი ევროპის ერთ-ერთ უსუსტეს ნაკრებს 2010 წლიდან ავარჯიშებს. ის ანდორრის ნაკრების ყოფილი მეკარეა და მოქმედი ფეხბურთელობის უამს ამ ევეყნის ნაკრების ლირსება 78 შესვედრაში დაიცვა. ანდორრამ მისი მეთაურობით ისე ჩაატარა სამი შესარჩევი ციკლი, რომ ქულაც კი არ აუღია. ევროპის 2016 წლის შესარჩევში კი გუნდმა 4 გოლის გატანა მოახერხა, მათ შორის - უელსისა და ბელგიის კარში.



ჰამრენი და ბოსკი

# ადამ თრი აბი არ რო...

მწვრთნელები:  
ი., დელ  
სხვები...

## ლუკ პოლუპი

ლუქსემბურგი,  
5 წელი და 4 თვე

46 წლის სპეციალისტი ეროვნულ გუნდში 2010 წლიდანაა. ფეხბურთელობისას ქვეყნის ღირსება 55 შეხვედრაში დაიცვა. ჯერ ადგილობრივ „ეტცელაში“ მუშაობდა, მერე ახალგაზრდული ნაკრებს მთავარი მწვრთნელი იყო. ეროვნული გუნდი მან რამდენიმე დასამახსოვრებელ მატჩში დამოძლვდა. მის აქტივშია მოგება ალბანეთთან, ფრე ბელარუსთან, მოგება აზერბაიჯანთან, მაკედონიასა და ჩრდილოეთ ირლანდიასთან.

## ლუკს ლამერბაჟი

ისლანდია, 4 წელი  
და 5 თვე

შვედმა სპეციალისტმა ციდა ქვეყნის არცთუ მდიდარ საფეხბურთო ისტორიაში ოქროს ასოები ჩაწერა. ისლანდია, პირველად, არსებობის განმავლობაში, ითამაშებს ევროპის ჩემპიონატზე და ეს მოხდება წლეულს, საფრანგეთში. ისლანდიამ ნამდვილი სენსაცია მოახდინა - ჯგუფში თურქეთსა და პოლანდიას გაასწიოს.



ჭიერზე დელ ბოსკე



რო. რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევს, ჩრდილოებებმა პლეი იფამდე მიაღწიეს და იქ ხორვატიასთან წააგეს.

## მარსელ პოლენი

ავსტრია, 4 წელი და 4 თვე

„კიოლნისა“ და „ბოტუმის“ ყოფილმა დამრიგებელმა ავსტრიის ნაკრებში უდიდესი მოცულობის სამუშაო ჩატარა. ავსტრია კარგა ხანია, ასეთი კარგი არ ყოფილა და ვინ იცის, ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ აღმოჩენადაც კი იქცეს. 10 მატჩიდან 9 მოგება - ევროპის ერთ-ერთმა ყველაზე მხარდმა გუნდმა ევროშესარჩევში დიდებული შედეგი აჩვენა.

## ლარს ოლსონი

ფარერები, 4 წელი და 4 თვე

დანიის ნაკრებს ყოფილი მოთამაშე სხვადასხვა დროს „რანდერსსა“ და „ოლბორგს“ წერთნიდა. მერე ფარერების ნაკრები ჩაიბარა და გუნდთან ერთად პროგრესს მიაღწია. თუ მუნდიალის შესარჩევ ციკლში კუნძულელებმა მხოლოდ ერთი ფრე ითამაშეს, ევროშესარჩევში ორჯერ მოუგეს საბერძნეთს. გარდა ამისა, ისინი სხვა შეხვედრებშიც ღირსეულად გამოიყერებოდნენ.

## პანი დე ბიაზი

ალბანეთი, 4 წელი და 3 თვე

იტალიელი სპეციალისტი, რომელსაც სამშობლოში კარგად იცნობენ. წვრთნიდა „ტორონის“, „უდინეზესა“ და ესპანურ „ლევანტეს“. ალბანელი ვარსკვლავის, იგლი ტარეს მეცადინებით, დებიაზიმ ამ ქვეყნის ნაკრები ჩაიბარა. მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა - 59 წლის სპეციალისტის ხელმძღვანელობით ალბანელები საფრანგეთში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებენ. ●

16 week



საქართველო



ნეარები 2016




● ილია ბაბუნაშვილი

იოპან კრუიფზე წერილის დაწერა ძნელია. წიგნია საჭირო. სულ მცირე, ორი ტომი. პირველ ტომში ის უნდა აღწერო, როგორ მოიგონეს მან და რინუს მიხელსმა „ტოტალური ფეხბურთი”, „აიაქსისა” და 1970-იანი წლების პოლანდიის ნაკრების ამბებს უნდა მოჰყვე; მეორეში კი, ის უნდა თქვა, როგორ შექმნა დიდმა პოლანდიელმა დღევანდელი „ბარსელონა”.

ვფიქრობთ, ამ სიტყვებში გასაკვირი არაფერია და თუ ვინმეს „მეორე წიგნის” ამბავი მიანც ეხამუშა, ქვემოთ მის ძალიან მოკლე შინაარსს შევთავაზობთ. ამ თემაზე კი იმიტომ შევჩერდით, რომ კრუიფის უკვდავებაზე საუბარი უფრო გასაგებად გამოგვიყიდეს, თორებ ვიღაცას 1970-იანი წლები შეიძლება ძალიან შორეულ ამბად ეჩვენოს...

...1988 წელს, როდესაც „ბარსელონას” ოფისის კარი ახალმა მწვრთნელმა, იოპან კრუიფმა შეალო, გუნდი ნამდვილად არ იყო სახარპილო მდგომარეობაში. იმაზე, რაც შემდეგ მოხდა, პეპ გვარდიოლა, სიტყვასიტყვით, ასე ამბობს: „მან ტაძარი დახატა, შემდეგ მოსულმა მწვრთნელებმა კი შტრიხები დავამატეთ, ზოგი რამ გავაუმჯობესეთ”. ვფიქრობთ, გვარდიოლას ნათქვამ ქართველებისთვის ასე უფრო გასაგები იქნება: მან დასახა გზა, რომელიც ტაძრამდე მიდის! და დღეს, თვრამეტი წლის შემდეგ, „ბარსა” ფეხბურთის ტაძარშია, დიდმა



პოლანდიელმა კი ცოდვილი დედამინა დატოვა.

ყველაფერი უფრო ზუსტად რომ აღვწეროთ, ცოტა ადრიდან დავინცოთ. 1988 წლის 28 აპრილის სალამოს 7 საათია. ბარსელონას ცენტრიდან ჩრდილოეთ მხარეს, ვიწრო ქუჩაზე, რომელსაც კარერ დელს ვერგონი ჰქვია, სასტუმრო „ესპერიაში“ დიდი ფუსტუსია ატებილი. ცნობისათვის: ამ ადგილიდან „კაპ ნოუმდე“ მანქანით ხუთ წუთში მიხვალ. ხავერდში ჩასმული საკონფერენციო ოთახის მაგიდასთან, „ბლაუგრანას“ ოცდაერთი ფეხბურთელი და მწვრთნელი, ლუის არაგონესი სხედან. გუნდის მხარბეჭიან კაპიტანს, ალესანდროს ხელში ოფიციალური განცხადების ტექსტი უჭირავს და კითხულობს: „პრეზიდენტმა ხოსეპ ლუის ნუნიესმა მოგვატყუა, როგორც ადამიანები და შეურაცხყოფა მოგვაყენა, როგორც პროფესიონალებს. კარგად გვესმის, რომ, ჩვეულებრივ, ამ საკითხის გადაწყვეტა კლუბის წევრების პრეროგატივაა, მაგრამ შექმნილი სიტუაციიდან ვეძებთ გამოსავალს და მის გადადგომას ვითხოვთ”.

განცხადება ერთდროულად შოკისმომგვრელიც იყო და უპრეცედენტოც. კაპიტნის ნათქვამს,

# რომელ გეგმა დიდია ჰოლანდიელია გარსელონა



ნახევარმცველმა ვიტეზორ მუნი-  
ოსმა დაამატა: „ნუნიესი ამ კლუ-  
ბის ფერებს ვერ გრძნობს. მას  
არც ჩვენი გულშემატყვარი უყ-  
ვარს. ნუნიესს მხოლოდ საკუთა-  
რი თავი აინტერესებს“. ამრიგად,  
კლუბში აშკარად ომია განაღებუ-  
ლი. „ბარსელონაში“ განხეთქი-  
ლება. მიზეზი ფულია. ქვეყნის  
საზინის ნარმომადგრნლები ყოვე-  
ლი ფეხბურთელის კონტრაქტის  
თითოეულ პუნქტს გამადიდებ-  
ლით ჩაკირქიტებენ. ისინი დარ-  
წეუნებულები არიან, რომ სახელ-  
მწიფოს იმაზე მეტი თანხა ეკუთ-  
ვნის, ვიდრე ბარსელონელებმა  
გადაუსადეს. ლაპარაკია სათამა-  
შო და სარეკლამო ხელშეკრულე-  
ბებზე. ფეხბურთელებს სხვადას-  
ხვა შემოსავალი და საგადასახა-  
დო ვალდებულება აქვთ. და რო-  
დესაც კლუბის ხელმძღვანელებ-  
მა გამოიცხადეს, რომ თუ აღმოჩ-  
ნდება, რომ რამე თანხა კიდევ  
არის გადასახდელი, მას მოთამა-  
შეები თავიანთი ჯიბებიდან და-  
ფარავენ, იწყება აჯანყება. ფეხ-  
ბურთელები ნუნიესის გაგდებას  
ითხოვენ!

როგორც „ბარსელონას“ ის-  
ტორიკოსები ამბობენ, ასეთი სა-  
შინელი სეზონი კლუბს 1941-42  
წლების შემდეგ არ ჰქონია და მი-  
სი ყველაზე უსიამოვნო ეპიზოდი

ეგრეთ წოდებული „ქაშერიას აჯანყება“ გახლდათ. შემდეგ, არა-გონისსა დეპრესიამ დარია ხელი და გუნდიდან წავიდა. „ბლაუგრანას“, სულ რაღაც ორ წელიწადში, 1986 წლის ჩემპიონთა თასის ფინალისტიდან ხელის წამოსაკრავ გუნდად იქცა. და ცბიერმა ნუნიესმა მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე ფიასკოსგან თავის გადასარჩენად მის ხელო არსებული ერთადერთი კოზირი გაათავაშა: ექვსი დღის შემდეგ, 1988 წლის 4 მაისს, „ბარსელონას“ ახალ მწვრთნელად იოჰან კრუიფი გამოაცხადა.

ନାମିତ ଶ୍ଵାତ୍ସିଃଶ୍ଵରିକାଶ ରାଜ୍ୟେଦରଣଃ  
ଅ ମମିନ୍ଦ୍ରିୟିଲେଷ୍ଵରିକାଶ, „ଦ୍ଵାର୍ପାରାନାଶ”  
ଦୀଳନ ତାତକର୍ମେତୁ ନେଲିନ୍ଦାଦଶି ରୂପ-  
ତାତ୍ତ୍ଵରତକ୍ଷେତ୍ର କ୍ଷେତ୍ରନାଶ ଗ୍ରାନ୍ତେତିଲା  
ହେମପିନ୍ଦିନିଲା ତ୍ରିତୁଲି ମନ୍ଦିରପୁଣ୍ୟ.  
ରୂପ ନ୍ତରିଲା ଶେମଦ୍ରେଷ କି, ରନ୍ଦେଶାଚ  
ତେଲାନାନ୍ଦେଶ୍ଵରି ଗୁର୍ବଦିନାନ ଗ୍ରାନ୍ତେଶ୍ଵର,  
କାତ୍ତାଲନ୍ଦୀନ୍ଦୀରି କ୍ଷେତ୍ରିଲା ଦିନ୍ଦେଶ୍ଵରିଲା  
ଦାର୍ଢାତିଲା ତୈରତମ୍ରେତୁ ଆଶାଲା ଜୀବିତ-  
ଦା ଅଶ୍ଵେନ୍ଦ୍ରିୟରୁଧା.

„Ծողթալյարո զյեթյանը տու”  
Յորդիսանիմա „ծարքելոնա” և-  
մուգագատուն Եղիշեական ծոլուս  
„Ամոյիմի” Ռոցարու զյեթյա-  
տելմա, առ Եղիշեական ծոլուս  
տագարուցուա Տյամտան ճագագա և  
ոյիգան ճանիպու ճուու ալորժինեց-  
եա. Ճա աելլա, օչեւ բամես զությ-  
ւուտ, ճլեւանճել շալթեմաէլքու-  
յարս ժալուան Ռոմ ցայցայուրճեցա:  
մոյշեադազագ օմիսա, Ռոմ 2007  
Եղիշեան „ծարքելոնա” Կուան-  
ցարքալազազեծ Ենցաւէս, Համալո-  
նամու ծեցարս մանճ մահինա, Ռոմ  
յալյան օմիսա Տիգրուրիմու Տայ-  
պարագան կամաց ամառաւու և  
ամառաւու ամառաւու ամառաւու:

1

კრუიიფი დაუყოვნებლივ შეუძლება. „პოსტ-ესპერიულ“ აღორძინებას. „ბარსელონამ“ თხუთმეტი ფეხბურთელი გაჟიყიდა, მათ შორის ძირითადი შემადგენლობის წამყვანი მოთამაშება. გაყიდულთა შორის იყვნენ აჯანყებულები, ვიქტორ მუნიოსა, რამონ კალდერო და ბერნად შუსტერი. შუსტერმა ცოტა სხის მერე „რეალში“ რომ ამოყოთავი, ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბავია. გაშვებულთა ადგილები თორმეტა ახალწერულმა დაიკავა. სხორცედ მაშინ მივიდნენ გუნდში „დრომ თიმის“ მომავალი წევრები: გარემარბი ჩიკა ბეგირისაჭაინი, შემზევი ნახვარმ/კვლი ხოსე მა-

რო ბაკერო, ცენტროლოგარდი ხულიონ სალინასი და ჩამშლელი ნახევარმცველი ეუსებიო. მერე, ეუსებიო იგონებდა: „საოცრად მეამაყებოდა, რომ მსოფლიო მასტებაბის, ვარსკვლავს იოჰან კრუიფს მოვეწონებ და ჩემით დაინტერესდა. მან ჯერ კოდევ უქაბდები მეცვალა ესპანური ფეხბურთი და „პარსელონისიმზ“. 23 წლის ყმანვილი ვიყავი, როდესაც ჩემთვის ზეცის კარი გაისხსნა. მან გარს ახალგაზრდა, მოგებებს მოწყურებული მოთამაშები შემოიკრიბა, რომელთაც კლუბში შექმნილი მძიმე მდგომარეობა მხრებს არ უძინიმებდა“.

კრუიზს ყოველთვის ახასია-  
თებდა ერთი შეხედვით ახირებუ-  
ლი გადაწყვეტილებების მიღება.  
ამავე კატეგორიას შეიძლება მი-  
ვაკუთვნოთ აჯანყებული კაპიტ-  
ნის, 32 წლის ალესანკოს გუნდში  
დატოვება. არადა, ზაფხულზე,  
როდესაც სტადიონზე შეკრებილ  
გულშემატკიცვარს „ბარსას“ ახა-  
ლი შემადგენლობა წარუდგინეს,  
ალესანკოს ხსენებაზე ხალხმა  
სტვენა ატეხა. კრუიზმა ვეტერა-  
ნი ასე გაამართლა: „ალესანკო კა-  
პიტანი იყო და სხვა გზა არ ჰქონ-  
და, თავისი ბიჭების მხარე უნდა  
დაეჭირა. ის მათი სახელით ლაპა-  
რაკობდა, გუნდს ვერაფრით  
უღალატებდა. ვაჟკაცური ბუნე-  
ბის კაცი იყო და, შუამავლობა  
იყისრა, შუამავლები კა, ისტორი-  
იდან მოგეხსენებათ, ბევრჯერ  
მოუკლავთ კიდეც. ალესანკოს  
ყოჩინბა ხასიათში ეჯდა და სადაც  
ადამიანთა ჯგუფს წახავდა,

ყველგან „კაპიტანი“ ხდებოდა”.

თუმცა, კრუიფის გადაწყვეტილებას კიდევ ერთი დატვირთვა ჰქონდა. ეს ნაშნავდა, რომ მწვრთნელისთვის პრეზიდენტები და ბოსები არ არსებობდნენ, გუნდთან დაკავშირებით ყველა გადაწყვეტილებას თავად იღებდა. პირშიც უთხრა ნუნიეს: „თუ ჩემთან ლაპარაკი მოგონდებათ, ოფისში დამიბარეთ. გასახდელში ნუ შემომივარდებით“.

ამრიგად, ჰოლანდიელის მოსვლის შემდეგ, პრეზიდენტი „პარსელონბას“ ისე ვეღარ მართავდა, როგორც თავის სამშენებლო ფირმასა და სასატუმროებს.

შემდეგი ნაბიჯი სტილს ეხებონ-  
და. „ელ ფლაკომ“ ანუ გამხდარ-  
მა, ივლისის პირველ რიცხვებში,  
ერთ მშვენიერ დღეს, შეკრიბა  
ფეხბურთელები და აუქსნა თუ  
როგორ ფეხბურთს ითხოვდა  
მათგან.

„ის დაფასთან დადგა და დახა-  
ტა სამი მცველი, ორი ნახევარმ-  
ცველი, ორი გარემარბი და ერ-  
თიც ცენტრალური თავდამსმე-  
ლი, - იგონებს ეუსებიო, - ჩვენ  
ერთმანეთს გადაგხედეთ. ვერ  
გაგვეგო, რა ჯანდაბა ეხატა და-  
ფაზე. მძინ 4-4-2-ის და 3-5-2-ის  
ეპოქა იდგა. თვალებს ვერ ვუჯე-  
რებდით, რადგან მისი სქემის თა-  
ნახმად, გუნდში ძალიან ცოტა  
მცველი და ბევრი თავდამსმელი  
გამოდიოდა. არადა, ეს რევოლუ-  
ცია იყო. კრუიფმა მარტომ მოახ-  
დინა ესპანურ ფეხბურთში რევო-  
ლუცია”.





## ისტორიება

ასე დაიბადა „კამპ ნოუზე” 3-4-3, რომელიც რინუს მიხელსის დროინდელი „აიაქსისა“ და ჰოლანდის ნაკრების 4-3-3-ის ინტეპრეტაცია გახლდათ.

მოგვიანებით, კრუიფია ყველაფერი თითებზე იანგარიშა: „თუ მეტოქის ორ თავდამსხმელს თქვენი ოთხი მცველი იჭერს, გამოდის, რომ მოედნის დანარჩენ ფართობზე ექვსი კაცი გრჩებათ რვის წინააღმდეგ. ასე მოგება კი გამორიცხულია. გვაკრიტიკებდნენ, დაცვაში სამი ფეხბურთელის დატოვება როგორ შეიძლება. ეს ყველაზე იდიოტური მოსაზრებაა, რაც კი ოდესმე მომისმენია. ჩვენ ხალხი ყველაზე მეტად მოედნის შუაში გვჭირდებოდა და იქ დავამატეთ კიდეც. 1:0-ის მოგებას 5:4-ის მოგება მერჩივნა“.

ერთხელ, მეკარუ ანდონი სუბისარეტამ კრუიფს ჰქითხა, სტანდარტული მდგომარეობების დროს მცველები როგორ განვალადებორო. იცით, რა უპასუხა ჰოლანდიელმა? „მე რა ვიცი. მაგაზე შენ იფიქრე. კუთხურის დროს ვინ სად იდგება შენ უფრო გაინტერესებს, ვიდრე მე“.

და სწორედ მაშინ, კრუიფის ხელში იშვა იდეა, რომლითაც სულდგმულობს დღევანდელი „ბარსელონა“ - ბურთის ფლობაზე მოგახსენებთ. „სწორედ ეს არის ძირული კონცეფცია, - ამბობდა ჰოლანდიელი, - როდესაც ბურთს ფლობ, გაქვს იარაღი, რომელიც მონინააღმდეგეს არ აქვს და თან, ამ დროს, მეტოქე

გოლს ვერ გაგიტანს. ვისაც ბურთი აქვს, ის წყვეტს, რა მოხდება შემდეგ. ბურთი იქ წავა, სადაც შენ უბრძანებ“.

• • •

კრუიფი რომ არა, არ იქნებოდნენ ინიესტადა ჩავით. რატომ? იმიტომ, რომ ზემოთ აღნერილი ფეხბურთის სათამაშოდ „ბარსელონას“ უკვე სხვა თარგზე მოჭრილი ფეხბურთელები დასტირდა - ბურთის სწრაფად გამთამაშებლები, პასებით კომბინაციების „ქსოველები“ ... მოკლედ, საგანგებოდ კრუიფისთვის მთამაშეთა ახალი ჯიში იყო გამოსაყანი, რაც იმას ნიშანება, რომ „ბარსას“ სკოლაში, რომელსაც, მოგეხსენებათ „ლა მასი“ ერქვა, ძირეული რეფორმები უნდა ჩატარებულიყო.

კიდევ უფრო მეაფიო რომ იყოს: კლუბი, რომელმაც კრუიფის შემდგომ ეპოქაში ინიესტა, ჩავით და მესა გაზარდა, კრუიფამდე, 1986 წელს, ახმას ფეხბურთელებს აგროვებდა. ტექნიკა და სხვა მონაცემები იმდენად აუცილებელი არ იყო. სწორედ იმხად, ერთმა 15 წლის ბიჭმაც სცადა ბედი, „ლა მასიაში“ გასინჯვაზე მივიდა, მაგრამ უთხრეს, გუნდში მხოლოდ ისინი აგვაზა, ვისაც ეტყობა, რომ სიმაღლეში 180 სანტიმეტრი მაინც გაიზრდებაო. „მე გავიზრდები 180 სანტიმეტრი. მე ფეხბურთელი უნდა გავხდე!“ - იყვირა ბიჭმა და... პეტ გვარდიონა „გამოვიდა“.

კრუიფი იგონებდა: „გუნდში ჩია ბიჭები მყავდნენ. ალბერტ ფერერი, სერხი, გილერმო ამორი... ათლეტიზმით ვერ დაიკვეხნიდნენ, მაგრამ ბურთს ჩინებულად ათვინიერებდნენ და მეტოქეს ვირთხებივით მიესეოდნენ ხოლმე“. კარგი შედარებაა, არა?

კრუიფის ხელში, 8 წლამდელთა გუნდით დაწყებული, „ბარსელონა B“ - თი დასრულებული, ყველა 3-4-3-ს თამაშობა. შედეგად, მომდევნო წლებში, „ლა მასიამ“ კრუიფის შექმნილ ყალბზე მორგებული მოთამაშები გამოუშვა. მათაგარი გმირი ბურთი გახდა. კრუიფი ფიზიკური მომზადების ვარჯიშებსაც კი ბურთით ატარებდა, - იგონებს „ელ მონდო დეპორტივოს“ უურნალისტი ორიოლ დომენერი, რომელმაც ჰოლანდიელს ეპოქაში ექვსი წელია „ლა მასიაში“ გაატარა, - ჩემნაირ დაბალ ბიჭებს გაცილებით შეაბარი შეანიშნა ჰინობაში. მას სოდეს, გვარდიოლა პატარა იყო და გაჩინიკული. მას კრუიფმა უთხრა, არ გაჩერდე, აუცილებლად განაგრძე თამაში, რადგან ერთ მშენებელ დღეს ტანს აიყრიო. კრუიფი რომ არა, ჩავი, ინიესტა და მათნაირი ვარსკვლავები უბრალოდ არ იარსებულდნენ“.

• • •

ამრიგად, ჰოლანდიელმა „ბარსელონაში“ თავისი ფილოსოფია დანერგა, მაგრამ გუნდს, როგორც ესპანელები იტყოდნენ, მაინც აკლდა ეპილები. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ „ბლაუგრანაში“ 1988-89 წლების სეზონში, თასების თასი და ესპანეთის თასი მოიგო. 1989 წლის ზაფხულზე კრუიფმა მიქაელ ლაუდრუპი და რონალდ კუმანი იყიდა, მაგრამ ახალწეულებმა ვერ გაამართლეს. განსაკუთრებით კუმანი ჩაიღავდა. მნვრთხელს თანამემატების დაცვა მოუხდა.

კიდევ, კრუიფმა ყოველდღიური ბრიფინგები გააუქმა. „პრესასთან ლაპარაკი სახითათავა“ - თქვა მან და ნელ-ნელა მისი გარემოსთან დამოკიდებულებაც გამოიკვეთა: მე მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ! მართალია, ის შიგადაშიგ თანხმდებოდა ინტერვიუზე, მაგრამ... „რომ მნდომოდა თქვენ ეს გაგეოთ, გასაგებად გეტყოდით“ - უთხრა ერთხელ მავან უურნალისტს.

ჩემპიონატში „რეალთან“ თერმეტებულიანი ჩამორჩენის გამომცვრთნელს გაგდებას უპირებდნენ, მაგრამ „სამეფო თასის“ მოპოვებამ უშველა - შუა სეზონში ნუნიესი კლუბის ნევრებს მისთვის უნდობლობის გამოცხადებას სთხოვდა. შემდეგ კი „დრიმ თომის“ ნამდვილი ჩამოყალიბება დაიწყო. ეს 1990-91 წლების სეზონში მოხდა.

„პირველად ბარსელონაში ფრანკოს დიქტატურის წლებში ვიყავი და მაშინ გავიგე, როგორ აზროვნებს კატალონიელი ხალხი, - განმარტავდა ის, - „ბარსას“ ფანებს უყვართ, როდესაც პირველ გუნდში კანტერას ბიჭები მოდან. ამასთან, მე შევეცადე შემეტნა სტილი, რომელსაც აქაურები კატალონიურს დაარქემდებნენ და ნარუმატებლობის შემთხვევაში, დიდ ობსტრუქციასაც არ მოაწყობდნენ“. სწორედ ამ დროს გამოჩნდა, როგორც ესპანელები იტყოდნენ, „აზრილი რძეც“, ანუ კონფლიქტური ხასიათის, მაგრამ მკვირცხლი და გოლზე დაგეშილი ხრისტო სტორჩკოვიც.

1991 წლის იანვარში „ბარსაში“ „რეალს“ 2:1 მოუგო და იმთავით ვე ნათელი გახდა, რომ იმ სეზონში ჩემპიონის ვინაობა გარკვეული იყო.

• • •

მაგრამ კრუიფს გულმა უმტყუნა. დიდი ჰოლანდიელი ხომ ბაგშვობიდან ეწერდა, დღეში ერთი კოლოფი მისთვის მინიმუმი იყო. ამიტომაც დასჭირდა შენტიორება, რომლის მიზანიც დაბინძურებული არტერიების გაწმენდა გახლდათ. გულით აგადმყოფი კაცისთვის არც „კაბპ ნოუს“ „ცხელსკამზე“ ჯდომა იყო მალამო. ოთხსაათიანმა ოპერაციამ ნარმატებით ჩაიარა. კრუიფი გადარჩა და ერთხელაც დასჭირდა მიმაში, რომ ღმერთმა დედამიწაზე მისით გამოუშვა - მას, როგორც ფეხბურთელსა და როგორც მნვრთნელს, მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელით შეექმნა.

ოპერაციის გამო ჰოლანდიელმა ცხრა ტური გამოტოვა. ამ დროის განმავლობაში „ბლაუგრანაში“ მისი მარჯვენა ხელი და თანამოაზრე, ცნობილი თავდამსხმელი, ჩვენთან რექსაჩად ცონბილი კარლეს რეშაკი გამოდეგა და გუნდმდებადა. გუნდში

ცხრიდან ექვსი მოიგო და ბოლო ექვს წელიწადში პირველად დაეუფლა ჩემპიონის ტიტულს.

„ვარჯიშებზე კრუიფი როგორ იქცეოდა, იცით? - იგონებს ეუსებიო, - სულ მცირე, ოთხჯერ ან ხუთჯერ გაგვაჩერებდა ხოლმე და გვეუბნებოდა: „არა, არა! აქეთ არა.. ერთი მეტრით უფრო მარჯვნივ. შეხედე, აქედან პასის გადასანოდებლად გაცილებით უკეთესი კუთხე გაქვს“. ეს დეტალები გონებაში გველექებოდა და ფიქრის კენ გვიბიძებდა. არ არსებობს მწვრთნელი, რომელიც ფეხბურთელებს ასეთ დეტალებს აუხსნის. კრუიფი ამას იმიტომ აკეთებდა, რომ მსოფლიოს უდიდესი ფეხბურთელი იყო და ყველა წვრილმანი იცოდა".

1991-92 წლების სეზონში კრუიფი მოედნის კიდესთან დაბრუნდა. მას სიგარეტის ნაცვლად უკვე „ჩუპა ჩუპა“ ეჭირა ხელში, თუმცა გუნდმა სეზონი მძიმედ დაიწყო - რვიდან სამი თამაში წააგო. ვითარება სასიკეთოდ ნოემბერში, „კაიზერსლაუტერნთან“ ჩემპიონთა თასზე შეხედრის დროს შეიცვალა. მართალია, „ბლაუგრანას“ პირველ თამაშში 3:1 ჰქონდა მოგებული, მაგრამ საპასუხოში, პირველი ტაიმის მერე 1:0-ს აგებდა და, რაც მთავარია, ცუდად თამაშობდა.

ცენტრალური მცველი მიგელ ანხელ ნადალი: „როდესაც კრუიფი გასახდელში შემოვიდა, გვეგონა თავს რისხვას დაგვატეხდა, მან კი წყნარად თქვა: „როგორ ცივა გარეთ ეს დედამ....ლი“. სადაც იყო ზამთრის არდადეგები მოვიდოდა, საქმე ყველა ფრონტ-

ზე ცუდად მიღიოდა, ამან კი, გარეთ ცივაო. და, უცებ... ყველამ შვება ვიგრძენით. მივხვდით, ის იმდენად იყო დარწმუნებული თავისი გუნდის სიძლიერეში, რომ არც კი ნერვიულობდა. სწამდა, რომ საბოლოოდ, ყველაფერი კარგად იქნებოდა".

იმ შეხედრის მეორე ტამაში თავიდან კვლავ „ლაუტერნმა“ გაიტანა, მაგრამ, 89-ე წუთზე ბაკერომ ერთი შეაგდო და „ბარსა“ შემდეგ ეტაზზე გავდა. მასის მიწურულს, პრომერას ბოლო ტურში, „ბლაუგრანამ“ ზედიზედ მეორედ მოიგო ჩემპიონთა ტიტული და წინ, „უემბლიზე“, „სამდორიას“ წინააღმდეგ, ჩემპიონთა ლიგის ფინალი ერთად.

ისევ ნადალი: „კრუიფს უნდოდა, რომ კლუბის ისტორია დაგვევინებინა. ჩვენი გონებიდან ამოეგდო ის ფინალები, რომლებიც „ბარსაში“ წააგო - თუნდაც იგივე 1986 წლის ამბავი - და თამაშის წინ უბრალოდ გვითხრა: Salid y disfrutad ანუ გადით და ისიამივნეთ. ამ სიტყვებმა ყველანაირი დაძაბულობა მოგვიხსნა".

და როდესაც დამატებით დროში კუმანმა საჯარომო დარტყმით გამარჯვების გოლი გაიტანა, კატალნიამ ისტორიაში შირველად იზეიმა ჩემპიონთა თასის მოგება.

ეუსებიო: „1992 წელს გუნდში სულ სხვა სული ტრიალებდა. ჩვენ ითხო წელიწადი ერთი მიმართულებით ვიმუშავეთ, რამდენიმე ფეხბურთელი დავიმატეთ და „ბარსას“ ახალ ისტორიას ჩაუყარეთ საფუძველი. ჩვენ განვების რჩეულები ვიყავით!“

მიუხედავად იმისა, რომ ჭორები წელიწისა და კრუიფის კონფლიქტის შესახებ არ შეწყვეტილა, „ბარსა“ ტიტულს ტიტულზე იგებდა. ამ წერილში მათი ჩამოთვლა უადგილოდ მიგვაჩნია, მათ სანახავად Wikipedia.org-ში „ბარსელონას“ გვერდზე შესვლაც საკმარისია, მაგრამ, უამრავ გამარჯვებასთან ერთად, არ შეიძლება არ ვახსენოთ 1994 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მილანთან“ 4:0 დამარცხება. ესეც კრუიფისა და „ბარსელონას“ წარსულის ნანილია. თან „ბარსაში“ ყველა კარგ ფორმაში იყო, „მილანს“ კი ნაქები დაცვა სანახევროდ დისკვალიფიცირებული ჰყავდა - კოსტაკურტა და ტასოტი არ იყვნენ.

„ფავორიტები ჩვენ ვართ. „მილანი“ თავის თამაშს დაცვაზე აგებს, ჩვენ კი შეტევაზე“ - ამბობდა პოლანდიელი მატჩის წინ.

და, მართალია, „მილანის“ თამაში მართლაც დაცვაზე იყო ანყობილი, თუმცა იმ დღეს სრულიად სხვა ფეხბურთი ითამაშა...“

ალბერტ ფერერი: „ზედიზედ ოთხი ჩემპიონობისა და 1992 წელს ჩემპიონთა თასის მოგების შემდეგ, როგორც ჩანს, საკუთარი შესაძლებლობებისა ზედმეტად ვიწამეთ. გვეგონა „მილანს“ იოლად დავამარცხებდით. ახლაც მჯერა, იმის 60-70% რომ გვეთამაშა, რაც შეგვეძლო, გავიმარჯვებდით. მაგრამ ეს დასასრულის დასაწყისი გახლდათ. მახსოვს, სტადიონიდან რომ ვბრუნდებოდით, ბიჭები იძახდნენ, ახლა კი გების რჩეულები ვიყავით!“

გაგვიდიანო. იმ ფინალის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა".

და მართლაც, კრუიფმა თავის „დრომ თიმს“, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ურო ჩასცხო. გოიკოერებას, სალინას, სუბისარეტასა და ლაუდრუპს „ბარსას“ მაიოსურით აღარ უთამაშიათ. 1995 წელს გუნდი დატოვა რომარიომაც. პოლანდიელმა მისი გაშვება ასე ახსნა: „ის ჩემსავით კარგად ვერ თამაშობდა. ჩემს გვერდით სხვა ფეხბურთელები უკეთესები ხდებოდნენ, მას კი მხოლოდ გოლების გატანა შეუძლია“. შემდეგ, ზაფხულზე წავიდნენ ეუსებიო, სტოიჩკოვი, კუმანი და ბეგირისტაინი. დარჩნენ მხოლოდ ნადალი, ბაკერო და გვარდიოლა.

შემცვლელებმა, გეორგე პაჯოიმ, გეორგე პოპესკუმ და რობერტ პოლინიჩეკიმ ვერ გამართლეს. 4:3 გამარჯვებები 3:2 დამარცხებებად იქცა. ერთადერთი, ლისაბონის „სპორტინგისგან“ შექენილი ლუიშ ფიგუ იძლეოდა იმედებს.

1995-96 წლების სეზონის ბოლოს წინა დღეს, კრუიფთან, გასახელების კლუბის ვიცე-პრეზიდენტი უან გასპარი მივიდა და პოლანდიელს გამოუცხადა, რომ ჭორები მის ადგილას ბობი რობსონის მინვევის შესახებ, მართალი იყო.

„თქვე იუდებო! - აყვირდა კრუიფი, - ნუუ ნუნიეს ამის შესახებ ჩემთვის პირადად არ უნდა ეთქვა!“


მდგომარეობა ისე დაიძაბა, რომ გასპარი პოლიციის გამოძახებითაც კი დაიმუქრა. Cruyff, si! Nunez, no! - გაიძახოდა მეორე დღეს, „სელტასთან“ შეხვედრის დროს „კამპ ნოუ“. ვფიქრობთ, ამ სიტყვებს თარგმნა არ სჭირდება.

2016 წლის 24 მარტს იოპან კრუიფი გარდაიცვალა.

„მან „ბარსელონას“ თამაშის სტილი მოუგონა, - ამბობს ეუსებიო, რომელიც 2015 წლის თებერვლამდე „ბარსელონა B“-ს ედგა სათავეში, - ჩვენს გუნდს მისი დნმ აქვს და მე ამას ცხადად ვგრძნობ. მის მიერ მოფიქრებულმა „ლა მასიას“ სისტემამ გაამართლა. ყოველთვის, როდესაც „ბარსას“ ძირითადში ჩვენს სკოლის ახალი აღზრდილი იმკვიდრებს ადგილს, ეს იოპანის პირადი გამარჯვებაა".



# მამუქა გორგოძე



## ● ბესიკ ჰანდბამე

საქართველოს ნაერების ლი-დერი მამუქა გორგოძე დიდი ხა-ნია სპორტული მედიის ყუ-რადღების ცენტრშია. ერთა თა-სის დასრულების შემდეგ ის „ტუ-ლონში“ დაბრუნდა, თუმცა საფ-რანგეთის ჩემპიონატის მატჩში სტუმრად „მეტრო რასინგთან“ არ უთამაშია.

ყოველდღიურმა სარაგბო გა-ზეთმა „მდიდო ლიმიტიკა“ მასთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, რომელ-შიც მის საკლუბო კარიერასა და „ბორჯლალოსნების“ ექვს ერში დაშვების პერსპექტივაზეა საუ-ბარი...

- „ტულონში“ გასულ უქმეებზე სტუმრად „მეტრო რასინგს“ მოუ-გო. მასში მონაწილეობა არ მიგი-ლიათ, თუმცა საინტერესოა, რას ფიქრობთ ამ შეხვედრის შესახებ?

- გასულ სეზონში და ამჟამა-დაც საკმაოდ ბევრჯერ ვითამაშე ასეთი მაღალი დონის გუნდის წი-

ნააღმდეგ. „ტულონში“ სათადა-რიო გუნდი არ არსებობს. ქა-ლალდზე შემადგენლობა შეიძლე-ბა ასე ჩანდა, მაგრამ ასე არ არის. დიახ, ითამაშა რამდენიმე ახალ-გაზრდა მორაგბემ, მაგრამ ისინი არავისზე უარესები არ არიან. მათ, შესაძლოა, ოდნავ ნაკლები გამოცდილება ჰქონდეთ. ეს არის და ეს! ზოგადად ვფიქრობ, რომ სერიოზული კლუბები ნელი ტემ-პით მიინევენ წინ, რათა დასას-რული ნარმატებული გამოიდეს. რამდენიმე გუნდი ვნახე, რისით რომ დაინტეს სეზონი და ახლა უკანასკნელ ძალებს იკრებენ. „ტულონი“ ნელ-ნელა, მეთოდუ-რად ვითარდება და ეს გამარჯვე-ბაც ამის დასტურია.

- „ტულონში“ ახლა მეორე ხაზში გინევთ თამაში. რას ფიქ-რობთ ამაზე?

- მირჩევნია, მესამე ხაზში ვი-თამაშო, მაგრამ გუნდს მეორე ხაზში ვჭირდები. რაც უნდა იყოს, ჩემთვის მთავარია, მოედანზე ვი-ყო და ვთამაშოდე. მე ამ გუნდის

ნაწილი ვარ და თუ მას სჭირდე-ბა ჩემი დახმარება ამ პოზიციაზე, მზად ვარ. ეს ნორმალურია. ბერ-ნარ ლაპასემ მკითხა და მეც და-დებითი პასუხი მივეცი, მით უფ-რო, რომ ჩემი კარიერა სწორედ მეორე ხაზში თამაშით დაინტებო. საქართველოსა და „მონპელიეში“ მეორე ხაზში ვთამაშობდი. ეს ჩემთვის ახალი არ არის.

- მეორე სეზონია, რაც „ტუ-ლონში“ ხართ. იპოვეთ თქვენი ადგილი გუნდში?

- გასულ სეზონში დიდი კონ-კურენცია იყო გუნდში. თანაც დასაწყისში სერიოზული ტრავმა მივიღე. 20 კვირა გამიცდა. გამო-ჯანმრთელების შემდეგ ფორმის აღდგენა ძალიან რთული იყო. წლეულსაც არ არის იოლი. „ტუ-ლონში“ ვარსკვლავებითა სავსე და ყველა იბრძვის შემადგენლო-ბაში ადგილის დასამკიდრებ-ლად.

- თქვენ სხვა მოთამაშებს მო-იხსნიებთ, როგორც ვარსკვლა-ვებს. თქვენც ხომ ვარსკვლავი ხართ...

- მე ვარსკვლავი არ ვარ. როცა ვიზრდებოდი, იმ მორაგბებს, რომლებთან ერთადაც ახლა ვთა-მაშო, ტელევიზორით ვუყურებ-დი. მათ პატივს ვცემ, მაგრამ კერპი არ მყავს. როცა ვამბობ „ვარსკვლავი“, ამით პატივისცე-მას გამოვხატავ. ძალიან მიხარია და ვამაყობ იმით, როგორ ვითა-მაშე მსოფლიოს თასზე და რო-გორ ვთამაშობ აქ, საფრანგეთში. თუ ჩემზე ლაპარაკობენ, ეს უბ-რალოდ კარგია და მეტი არაფე-რი.

- რაგბი საქართველოში სულ უფრო პოპულარული ხდება. ის ფეხბურთს ავიწროებს. ეს ნამდ-გილად ასეა?

- ფეხბურთში კარგი მოთამა-შეები გვყავს, თუმცა თამაშებს ვაგებთ. ხალხი მიდის სტადიონ-ზე, რომ ნახოს იტალიის, საფრან-გეთისა და სხვა გრანდების თამა-ში. ქომაგი ჩვენთანაც ბევრი მო-დის, რუმინეთს ვეთამაშებით. ბოლო შეხვედრას თბილისში 55 ათასი მაყურებელი დაესწრო. დღემდე არ გამსვლია აღტყინება. წარმოიდგინეთ 55 ათასი ქომაგი. ეს ხომ ექვსი ერის მატჩებისთვის დამასასიათებელი ციფრია? ქო-მაგი აღრეც ბევრი გვყავდა, მაგ-

რამ ისინი ძირითადად რუსეთან თამაშისას მოდიოდნენ. შარშან-დელი მსოფლიოს თასის შემდეგ კლუბებში მორაგბეთა რიცხვმა 37 პროცენტით მოიმატა. რაგბი მაღლე გაძლება საქართველოში ნომერ პირველი სპორტი.

- მსოფლიოს თასზე კარგი გა-მოსვლის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა ერთა თასიც მოიგო...

- ვფიქრობ, ამიერიდან სხვა, უფრო მაღალ დონეზე უნდა ვი-თამაშოთ. შეიძლება ექვს ერზე არა, მაგრამ რაღაც შუალედურ-ში. ძალიან კარგი იქნება, თუ რე-გულარულად მოგვიწევს გაჯიბ-რება იაპონიის, კანადის, აშშ-ის, ტონგასა და ფიჯის წინააღმდეგ. ჩვენ ისევ პატარა გუნდი ვართ, თუმცა დიდი პოტენციალი გავ-ვაჩინია. დიდ პატივს ვცემ ყველა გუნდს, რომელიც ერთა თასზე თამაშობს, მაგრამ მათთან თამა-ში ჩვენ აღარაფერს გვაძლევს.



# პასუხაღ პარისეს: ჩვენ ულთან 70 წულით არ ნავაგებთ!..

- სერიოზულად ალაპარაკდნენ იმის თაობაზე, თუ რატომ არ შეიძლება იტალიის ნაცვლად ექვსი ერის გათამაშებაში საქართველო ჩართონ...

- ამაზე არასწორი რეაქცია ჰქონდა სერჯო პარისეს. მისი საქმეა მოედანზე ითამაშოს და არა - ამ საკითხის პრესასთან განხილვა. მე კი, რაც შემიძლია გითხრათ, ისაა, რომ საქართვე-

ლოს ნაკრები უელსთან მატჩში 70 ქულით არ წააგებს. მინდა ხაზგასმით ალვნიშნო - შესაძლოა საქართველოს ნაკრები მზად არ არის, ექვს ერზე ითამაშოს, მაგრამ, თუ საშუალება მიეცემა, 17 წლის განმავლობაში ისევე სწრაფად გაიზრდება, როგორც იტალია. იტალიის ნაკრების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ეს კარგი გუნდია, რომელშიც შესანიშ-



ნავი მორაგბეები თამაშობენ. თუმცა, ჩვენ ხომ მათ საწინააღმდეგოდ პრესასთან არაფერს ვამბობთ. მოდით, მოვაწყოთ მატჩი ექვსი ერის ბოლოადგილოსანსა და ერთა თასის გამარჯვებულს შორის. იქ, მოედანზე გამოჩნდება ვინ ვინ არის. ძალიან ცუდად გამოუვიდა პარისეს, როცა ოქვა, რომ ჩვენი ადგილი ექვს ერში არ არის. ის მსოფლიო დონის მორაგბეა და მისმა ამ სიტყვებმა გული გვატკინა. ●

# ანზა



## ● ვასილ ბალახეძე

**არათუ თანამედროვე ფეხბურთში, არამედ, საზოგადოდ ფეხბურთშიც, ალბათ, არასოდეს ყოფილა რომელიმე კლუბის თავკაცად ისეთი ოდიოზური, იმპულსური, მკვახე გამონათქვამებითა და არაორდინარული გადაწყვეტილებებით ცნობილი ადამიანი, როგორიც „პალერმოს“ პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინია.**

როცა ის ლაპარაკს იწყებს, აუდიტორია სულგანაბუღლია, რადგან ყველას სჯერა, რომ სინიორ მაურიციოს მონოლოგი თუ პასუხი კითხვებზე, რაიმე ორიგონალურის გარეშე არ ჩაივლის. ამ დროს მედია დარწმუნებულია, რომ ძამპარინი იტყვის ან გადაწყვეტს ისეთს, რაზეც ინფორმაცია მათი გამოცემების წინა გვერდებზე იქნება განთავსებული...

...ერთხელ, კლუბის ოფისიდან გამოსულს, მორიგი ხმაურიანი გადაწყვეტილების მომლოდინებურნალისტებმა მიკროფონები რომ მიუშეირეს, ძამპარინიმ თქვა: „ვიცი, რომ გაგახარებთ ურნალისტებს, თუ მწვრთნელის გათვისუფლებასთან დაკავშირებულ განცხადებას ვავაკეთებ. მე სულაც არ ვისურვებდი თქვენს სისარულს, მაგრამ რას ვიზამ, ჯობია ისევ თქვენ გაგახაროთ, ვიდრე „პალერმო“ სერია B-ში გავარდეს. მაშ ასე, მეგობრები, ჩვენი მწვრთნელი თავისუფლალია“.

განა, რა უნდა იყოს უჩვეულო რომელიმე კლუბის პრეზიდენტის მიერ მწვრთნელის გათავისუფლებაში? არც არაფერი, მაგრამ საქმე ისაა, რომ ძამპარინის, სხვა ყველაფერთან ერთად, მწვრთნელთა მმუსვრელადაც იცნობენ. მან ერთხელ, ურნალისტის კითხვაზე, თუ რა იყო მისი პობი,

ასე უპასუხა - ჩემი პობი მწვრთნელების გათავისუფლებაა.

„პალერმოს“ პრეზიდენტად ყოფნის 14-წლიან პერიოდში სინიორ მაურიციომ კარისკენ 28 მწვრთნელს მიუთითა დროზე ადრე. მაგრამ ეს სეზონში საშუალოდ მხოლოდ 2 მწვრთნელა, ამ ჩემპიონატში კი ძამპარინის ხასიათი კიდევ უფრო ცხადად გამოჩნდა. საქმე ისაა, რომ ჯერაც მიმდინარე სერია A-ში ძამპარინიმ „პალერმოს“ მწვრთნელის სავარებელი უკვე შეიძლება (!) გამოათავისუფლა (ვინ იცის, ურნალის ეს ნომერი რომ გამოვა, ძამპარინის მიერ მოხსნილ მწვრთნელთა რიცხვი კიდევ გაიზარდოს).

ამ უთავბოლო გათავისუფლებების შემდეგ პრეზიდენტს ერთმა გულშემატკივარმა უთხრა - დავილალეთ თქვენი გაუზონასწორებელი საქციილით და დროა, მწვრთნელები კი არა, თავად თქ-

ვენ ნახვიდეთ პოსტიდანო!

„იცი, რას გეტყვი? ნუ აწვალებ ჩემს კვერცხებს იმ თემით, რომლის განხილვაც დღის წესრიგშიც არ დგას!“! - აი, ასეთი შესაშური „ტაქტით“ უპასუხა ძამპარინიმ „პალერმოს“ მაგან გულშემატკივარს.

„პალერმომდე“ ძამპარინი ფლობდა ორ კლუბს - „პორდენონესა“ და „ვენეციას“, რომლებიც გაკოტრებისგან იხსნა. ძამპარინი დაეხმარა „ვენეციას“ სტადიონის რეკონსტრუქციაში და გადაიყვანა კლუბი სერია A-ში. მაგრამ მერე გადაწყვიტა, ახალი სტადიონის ასაშენებლად ქალაქის ხელმძღვანელობისა გან ტერიტორია მოეთხოვა.

სინიორ მაურიციოს ბიზნესი სუპერმარკეტების ქსელი და სავაჭრო ცენტრებია. ახალ სტადიონზე პრეზიდენტი, ცხადია, თავისი ბიზნესის ამ მიმართულებასაც ახეირებდა - განათავსებდა სტადიონთან მაღაზიებს და ასე შემდეგ. ეს დასამალი არავისთვის ყოფილა, თუმცა ამ თუ სხვა მიზნების გამო, ვენეციის ხელისუფლებამ მინის გამოყოფაზე მას უარი შეუთვალი. ძამპარინიმ კი დაკრა ფეხი და ეს ულამაზესი ქალაქი დაუნანებლად დატოვა.

უფეხბურთოდ დიდანს არ გაჩერებულა. 2002 წელს 20 მილიონი ევრო გადაიხადა „პალერმოს“ აქციათა საკონტროლო პაკეტის შესაძნად და კლუბის სათავეში მივიდა. მას ფული წყალში არ გადაუყრია - ორ წელინადში „პალერმო“ სერია A-ში აღზევდა, შემდეგ კი უეფას თასზეც იასპარება...

ძამპარინის სიცილიელებთან ურთიერთობაში უფრო ნაკლებად ექმნებოდა პრობლემები (ის პალერმოს საპატიო მოქალაქეცაა), ის ძირითადად იტალიური და მსოფლიო ფეხბურთის მამებს უტევდა.

„მოისმინეთ ბლატერის ნათქვამი ბალოტელიზე, რასიზმთან დაკავშირებით. მან ისე გამოიყვანა, თითქოს ჩვენ ვართ რასისტები, არადა, რასისტი სწორედ ისაა და ამის ბევრი დამადასტურებელი მაგალითი მაქს“, - თქვა მან. ძამპარინისთვის ისიც გაუგე-

# თბილი სოლივითაა...

ბარია, როგორ ხერხდება, რომ „მილანის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი ადრანინ გალიანი მრავალი წელია, იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი ხელისუფალია.

„სულ მიკვირს, რატომ ვერავინ ხედავს, რომ ელიტური კლუბის მაღალი თანამდებობის პირს, ფაქტობრივად, იტალიის ფეხბურთის ფედერაციაშიც წამყვანი პოსტი უკავია. ამგვარი კომბინაცია საშუალებას იძლევა ყველაზე მაღალ დონეზე მოხდეს გარევეული კლუბის ინტერესების დაცვა. ეს ხომ სერიოზული პრობლემაა?“ - სვამს კითხებს „პალერმოს“ ბოსი.

2010 წელს ის 6 თვით ჩამოაშორეს პრეზიდენტის პოსტს. მას ბრალად 2003-06 წლებში ფეხბურთელთა ტრანსფერების ფასის განზრას ზრდა დასწამეს. გაბრაზებული ძამპარინი დადგა მიკროფონთან და ომახიანად თქვა:

„მე ერთადერთი ადამიანი ვარ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში, ვინც იტალიურ ფეხბურთში ფული ყოველგვარი კანონდარღვევის გარეშე ჩადო და განკარგა. ერთადერთი ვარ, რომელსაც არცერთი უკანონო გარიგება არ გა-

ნუხორციელებია. მე გავყიდი კლუბს და წავალ ფეხბურთიდან. საკმარისია უკვე! იმდინ მქონდა, რომ ყველაფერი შეიცვლებოდა, მაგრამ ჩანს, ბინდური თამაშები ისევ გრძელდება“.

აი, ამ განცხადებიდან ორ კვირაში სინიორ მაურიციომ უურნალისტებს ახალი განცხადება მოუმზადა: „არსადაც არ წავალ და არ გავყიდი კლუბის ერთ აქციასაც ენ!“

ურთიერთგამომრიცხავი განცხადებების მთელი კასკადი შესთავაზა საზოგადოებას ძამპარინიმ „პალერმოს“ მწვრთნელ დელიო როსისთან დაკავშირებით. რამდენიმე ხელისმოცარვის შემდეგ, უურნალისტები, ძამპარინის ხასიათიდან გამომდინარე, დაინტერესდნენ, აპირებდა, თუ არა როსის გათავისუფლებას.

აი, პასუხიც: „90 პროცენტია ალბათობაა იმისა, რომ დელიო როსი დარჩება გუნდის საჭესთან. საქმე ისაა, რომ ის ძალიან ჰგავს ჩემს ცოლს - ჩვენ შეიძლება ვიჩებოთ, მაგრამ მაინც ერთად ვრჩებით. დარჩება თუ არა ის პოსტზე შობამდე? რასაკვირველია? ის დარჩება არა მხოლოდ შობამდე, არამედ კიდევ ოთხ, ან ხუთ



შობას აღნიშნავს „პალერმოსთან“ ერთად“, - უპასუხა მან მედიას.

ორიოდე თვის შემდეგ ძამპარინი უკვე ამბობს, რომ: „როსის შანსები „პალერმოში“ მთავარ მწვრთნელად დარჩენაზე არის მხოლოდ 1 პროცენტი. გუნდი მთლიანად განადგურებულია. მან დაანგრია „პალერმო“. შობამდე ის აუცილებლად უნდა გამეშვა“!

რა თქმა უნდა, დელიო როსი წავიდა, მაგრამ ცოტა ხანში ძამპარინიმ ესეც შეცდომად მიიჩნია: „შევცდი, როსი რომ გავათავისუფლე. გული ძალიან მეტკინა, „პატანიასთან“ ჩვენს მარცხსა და ფეხბურთელების უსუსურობას რომ ვადევნებდი თვალს. ამ მარცხმა შემაცვლევინა აზრი დელიო როსიზე. ახლა ვრნმუნდები, რომ ის კარგი მწვრთნელია“, - წუხდა „პალერმის“ ოდიოზური ბოსი.

„პალერმოდან“ ან სულაც ფეხბურთიდან წასვლაზეც მას არაერთხელ აქვს წათქვამი, მაგრამ, როგორც ხედავთ, ის ისევ სიცილიური კლუბის ბოსია. არადა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა დიბალას შენარჩუნება ვეღარ შეძლო და „იუვენტუსში“ გაუშვა, გულნატენი ამბობდა, რომ აპირებდა საერთოდ წასულიყო ფეხბურთიდან.

ბოლოს მან სულ რამდენიმე დღის წინათ აუწყა მედიას, რომ სეზონის დასრულების შემდეგ კლუბს გაყიდის.

„დავიდალე! იტალიურ ფეხბურთში ორი თვე დამრჩა. ფეხბურთმა უბრალოდ გამანამა. იმედი მაქვს, „პალერმოს“ მომდევნო მეპატრონე პალერმოელი იქნება“, - თქვა მან. არადა, ის თავად პალერმოელი არ გახლავთ, უდინელია. უდინეს პროვინციის ქალაქ ბანიარია არსაში 74 წლის წინ დაიბადა...“

მწვრთნელთა მმუსვრელი მიმწევს, რომ ფეხბურთში მოღვაწეობის თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში მასთან მომუშავე საუკეთესო სპეციალისტი ფრანჩესკო გვიდოლინი იყო.

„გვიდოლინი საუკეთესოა იმ 52 მწვრთნელს შორის, რომელიც მე დავიქირავე სხვადასხვა დროს. არადა, ჩემთან მუშაობდნენ სპალეტი, ძაკერონი, პრანდელი და სხვები“.

ძამპარინის ამჟამინდელი კაპიტალი 1 მილიარდ 200 მილიონ ევროდაა შეფასებული. „პალერმოს“ აქციების საკონტროლო პაკეტის გარდა, ის სერია D-ს კლუბ „ფილენესაც“ აფინანსებს. ●



### ● ზურა თალაპიბეძე

ნოვაკ ჯოკოვიჩი დომინიკ ტიემის სვდება. მააამის მასტერ-სზე, მეოთხე წრეში. ჯოკოვიჩი ცუდ ფორმაშია, წერვიულობს. ნოვაკი ბევრ შეცდომას უშვებს. ტიემი კარიერაში საუკეთესოდ თამაშობს, ბევრს იგებს, უკვე მეთოთხმეტეა და თუ არ დაეზარება, როლან გაროს დაწყებამდე პირველ ათეულში შევა. ტიემი ახალგაზრდაა. ნოვაკზე ბევრად პატარა და სერბი ცუდ ფორმაშია.

ტიემმა ძაან ბევრი ბრეიქ პოინტი მიიღო და ჯოკოვიჩმა თითქმის ყველა შანსი წაართვა. ნოვაკი იმ ეპიზოდებში სხვა ნილაბს იკეთებდა. სერბი ხდებოდა მანიაკი ჯეისონ უორშიზი, რომელიც ჰორორის კლასიკა...

ჯოკოვიჩიც კლასიკაა. ჯოკოვიჩიც განსაკუთრებულია. ჯოკოვიჩიც თემაა. და ტიემმა სერბთან წააგო. საუკეთესო ფორმაში შესული ახალგაზრდა დომინიკი აგებს ეპიზოდურად სტაბილურ და შესაბამისად, ძაან არასტაბილურ სერბთან. რომელიც ჯერ რეიტინგის პირველი ნომერია. რომელიც პინიშურ, ამ სეზონის ბოლომდე პირველ ადგილზე იქნება. და ჯოკოვიჩი ჩიგბურთია.

ტიემი ამ ჩიგბურთის მომავალია. დავიდ გოფენთან, კეი ნიშკორისთან, მილოშ რაონიჩთან და ერთ განსაკუთრებულ ამერიკელთან ერთად. ის ამერიკელი ჯერ აზრზე მოსასვლელია. ძაან გიურა და ცოტა უნდა დამშვიდდეს. ამაზე მერე წავიჭორაოთ. ნოვაკ ჯოკოვიჩმა მაიმიში დომინიკ ტიემს ლამაზ ჩერგაში მოუვო.

ცუდი ჯოკოვიჩი ყველას უგებს. კარგი ჯოკოვიჩი მხოლოდ ძაან აუცილებელ თამაშებში არის კარგი. ცუდი ჯოკოვიჩი ნებისმიერ ტურნირზე მოუგებს რაფაელ ნადალს. წელს უკვე ორჯერ მოუვო. კარგი ჯოკოვიჩი როლან გაროს გრუნტზე უნდა დაინტონოს. იქ ნოვაკი ჯერ ფინალს ვერ იგებს. აგებდა რაფაელთან, აგებდა სტენ ვავრინეასთან. აგებდა ფილიპ კოლშრაიბერთან. როჯერ ფედერერთან აგებდა. და ვერ იგებდა.

რო -  
ლან გა-  
როსთვის  
ნოვაკი ისე  
ემზადება,  
როგორც -  
ივან ლენდლი  
უიმბლდონის-  
თვის. ჩეხს ბა-  
ლაბზე ცრემლ-  
დენა ეწყებოდა.  
ნოვაკს არ აქვა  
ალერგია გრუნტზე.  
უბრალოდ, ვერ იგებს.  
ფინალმდე იგებს და ფი-  
ნალში ვერ იგებს. ხდება  
ხოლმე. პიტ სამპრასი როლან  
გაროზე ფინალამდეც ვერ მივი-  
და. ნოვაკმა ეს ტურნირი წელს  
უნდა მოიგოს. ალბათ, მოიგებს და  
დაისვენდეს. და ჯოკოვიჩი ჯერ ის-  
ვენებს. თამაშის დროს. სხვები შუ-  
აზე იხევიან, მაგარი მონდომებუ-  
ლები არიან და ნოვაკი ამას ყუ-  
რადღებას არ აქცევს. ძაან მშვი-  
დად და ჩვეულებრივად აიგნო-  
რებს და სერბი ყველაფერს იგებს.

ერთხელ შეეძალა, თვალები ეტ-  
კინა და ფელისიანო ლოპესმა ჯეპ-  
პოტი მოხსნა. ლოპესმა სტივი უან-  
დერს მოუვო. რომელიც კორტზე  
მართლა სტივია. იმდენად თავი-  
სუფლად და ბუნებრივად აკეთებს  
ყველაფერს ეს ოხერი. ჯოკოვიჩი  
ცუდ ფორმაშია და მაინც კარგად  
ყომარობს. აზრზე ხართ, ეს რომ  
კარგ ფორმაში შევა? ძაან ცუდი იქ-

# super

# star

# 3



ნება. სხვებისთვის. ნოვაკი კარგ ფორმაში როლან გარნზე უნდა შევიდეს. დაიწყება.

დაბრუნდა ხუნ მარტინ დელ პოტრო. რომელიც ხანდახან უგებდა სერბს. რომელიც ხანდახან, მოგებაზე უფრო ხშირად აგებდა სერბთან და ჯოკოვიჩი-დელ პოტროს თამაშები იყო კლასიკა. დელ პოტრო აილენა, რამდენიმე ოპერაციის შემდეგ დაბრუნდა და დელ პოტრო ეტა-პოტრივად ბრუნდება. დელრეი ბიჩის ნახევარფინალი, შემდეგ ორ მასტერს შე მოგებული თითო ტესტი. და თითო წაგებულიც.

ჯოკოვიჩი კარგ დელ პოტროს ჯერ ვერ ნახავს. სადღაც, ერთი წლის შემდეგ შეიძლება ნახოს, მაგრამ ჯერ ვერ ნახავს.

ცოტა ადრეა. სერბი ამით არ იძება. სერბისთვის სულ ერთია. სერბი ყველას უგებს და თუ სერბი მაინც აგებს, შემდეგ ტურნირზე ყველასგან ნაფლეთები, ნარჩენები, უსისტემოდ, არეულად ალებული სერბი რჩება. ჯოკოვიჩი სამაგალითო სადისტია. რომელიც მოგება დაიდი ხნის წინ და ალებული რჩება. რომელიც ალებული არ არის არაფერი. ის ერთი წლით აღრე ალებულ ბონუსს იცავს და სხვები მაინც ძან უკან არიან.

ჯოკოვიჩი ცივი მოქანდაკე გახდა.

სერბი ყველა საფარზე იგებს. ჰალახზე ბევრი ტურნირი არ არის და ნოვაკი ძირითადად, ორ ტურნირს ირჩევს. ქვიზზს და უიბლდონს. როივე თითქმის ერთ უბანშია. და ჯოკოვიჩი ცოტა მერე ჰარდზე გადადის. ნოვაკმა ჩიგბურთით კაიფის მიღება ისწავლა და ნოვაკი უკვე ცოტა სხვაგან არის. სარეიტინგო ქულებში აღარ ითვლიან, რომელიმე ფინალის შემდეგ, რამდენი ქულა მოემატა სერბს. მას არაფერი არ ემატება. წუ, თითქმის არაფერი. ის ერთი წლით აღრე ალებულ ბონუსს იცავს და სხვები მაინც ძან უკან არიან.

სხვებში უფრო სტაბილური იყო ენდი მარი და ბოლო პერიოდში ბრიტიც აგებს. ცუდად აგებს. სადაც არ უნდა აგებდეს, იქ აგებს და ბრიტმა ეს პროცესი უნდა გამოასწოროს. ან, მისტერ მარი დაკარგავს მეორე ადგილს. მარიმ ეს იცის და ენდი არ ფიქრობს ნოვაკზე. ენდი ბოლო პერიოდში თითქმის ვერ უგებს სერბს. ხანდახან უგებს. თუ ჯოკოვიჩი არ არის საუკეთესო.

ენდი მარის ჩიგბურთი ათლეტური გოლგოთა. ნოვაკ ჯოკოვიჩის ჩიგბურთი ათლეტური კლასიკა. ნოვაკმა საკუთარი თამაშით დიდი სიამოვნების მიღება ისწავლა. სხვები სხვებით კაიფობენ. ნოვაკი - საკუთარი თავით. მარტივია. და სასიამოვნო. და მართლა ძან მარტივი. ჯოკოვიჩიც მარტივია. და იგებს.

მე ვერ ვებდავ უახლოეს პერიოდში ტიპს, ვინც ჯოკოვიჩის მოუგებს. წელიწადში ერთხელ, სამჯერ, ხუთჯერ ნოვაკიც აგებს. ხანდახან ისინიც, კიბორგებიც იღლებიან და ანდან მარტივიან, უკეთესი და არ უნდა გარებობა. რომელიც აღარ არის, მაგრამ მოუგებს. ჯერ არ იცის, როგორ, მაგრამ მოუგებს. ჯერ არ იცის, სად, მაგრამ მოუგებს.

ლი ივან ლენდლის დროს იყო სხვა დონეზე და ლენდლის გარეშე სხვა, ძველ დონეზე დაბრუნდა.

მარის ერიდება ჯოკოვიჩთან ხმამაღლა საუბარი. ჯოკოვიჩთან არ უნდა იყვირო, მაგრამ უნდა გააგებინო სერბს, რომ შენ აქ სალაპარაკოდ არ მიხვედა და ნოვაკმა ეს უნდა გაიგოს. ნოვაკმა ეს უნდა იცოდეს. და ნოვაკს ეს აღარ ახსოვს. სამი წლის წინ სერბს ეს ნადალმა გააგებინა, მაგრამ ეს ერთჯერადი აქცია იყო. ნადალი შეიცვალა და დაიღალა. ნოვაკი ვერ შეცვალეს. ის, უბრალოდ, უფრო ბრძენი და განსაკუთრებული გახდა.

ჯოკოვიჩი კანონმორჩილი ჩემპიონია. არ ითხოვს იმაზე მეტს, ვიდრე - ეკუთვნის. არ ცდილობს, რომ გახდეს მიკ ჯაგერი. ხანდახან, ჯიბით ბურთს იჭერს. ხანდახან, ანცობს. ხანდახან, ის უბრალოდ, არ თამაშობს და მაინც მარტივად უგებს იმ, მეორე მოთამაშეს. ეს ხანდახან ხდება. და ჯოკოვიჩი ყოველთვის სტაბილურია. ის იგებს. ის ვერ აგებს.

დომინიკ ტიემი მაიამიში დაფრინავდა. ელეგანტური დარტყმა მარჯვნიდან, ეცექტური დარტყმა მარცხნიდან, კლასიკური, ეპიზოდებში - რაფინირებული და მაგარი ლამაზი ჩიგბურთი აფსტრიელი ბავშვისგან, რომელიც აღარ არის ბავშვი. ის ძან კარგია და ის უკვე მომავალია. უბრალოდ, წარსულში არ უნდა დარჩეს და ჯოკოვიჩის სადმე უნდა გააგებინოს, რომ ის, ტიემი, ძან მაღლე მას, ჯოკოვიჩის მოუგებს. ჯერ არ იცის, როგორ, მაგრამ მოუგებს. ჯერ არ იცის, სად, მაგრამ მოუგებს.

ჯერ ვერ უგებს, მაგრამ უნდა მოუგოს. ჯოკოვიჩმა იცის, რომ სხვები მაღლე უკეთ გააკეთებენ საქმეს, მაგრამ სერბი ამაზე არ ფიქრობს. ის ფიქრობს ოჯახზე, თავის ულამაზეს ცოლზე, ოჯახის სხვა წევრებზე და საერთოდ არ აქცევს ყურადღებას, რა სდება ქვემოთ, დედამიწაზე. ჯოკოვიჩი დაკარგებული ტიპია და სერბი დროს არ კარგავს. ხუთი წლის წინ სერბი შეიცვალა და ძველი ჯოკოვიჩი აღარ დაბრუნდება. სხვებმა ეს იციან და სხვე-

ბი ცდილობენ, რომ გახდნენ საუკეთესობი. ნოვაკ ჯოკოვიჩის შემდეგ.

ძან პრესტიულია.

დავიდ გოფენი იგებს, მაგრამ ბელგიელს აელია აგრძელადა ის ვერ ქაჩაგს დიდ ტურნირებზე. გოფენი ჯოკოვიჩის ვერ შეცვლის. ალბათ, ვერ შეცვლის.

ტიემის თემა გავიარეთ. ვუმატებთ თვითრწმენას, ან ვიჯერებთ, რომ ჩვენ, ტიემები ნოვაკს არ უნდა ვანუხებდეთ.

რაონიჩი. კანადელი შეიცვალა. არ უშვებს 40 და 50 უნდალი შეცდომას და კანადელი რეალური ახალგაზრდა. ის იგებს. ის ცოტას აგებს და კანადელს აქცს ჯანმრთელობის პრობლემები. და კანადელმა ეს პრობლემები უნდა მოაგვაროს.

ნიშკარი. იაპონელმა ვერ გამოიყენა შანსი და პირველი დიდი ტურნირის პირველი დიდი ფინალი მარინ ჩილიჩთან წააგო. უნდა მოეგო და წააგო. და იაპონელი იმის შემდეგ, ცოტა უხასიათოდ აკეთებს საშინაო დაგალებას. ნოვაკის განტოლებები რთული ამოსახსნელია. ეკი იჭედება ხოლმე და კეი დაბრუნდება.

ჯოკოვიჩი ჯერ ისვენებს. სეზონი მიდის, ნოვაკი იგებს და არ იღლება. ჯოკოვიჩმა უნდა მოიგოს როლან გარო. ჯოკოვიჩმა უნდა მოიგო და წააგო. და იაპონელი იმის შემდეგ, ცოტა უხასიათოდ აკეთებს საშინაო დაგალებას. ნოვაკის განტოლებები რთული ამოსახსნელია. ეკი იჭედება ხოლმე და კეი დაბრუნდება.

სერბი უკეთესი სერბი, უკვდავი სერბი, ლეგენდა გახდება. უფრო ლეგენდა, ვიდრე - ტომ პარდი ან - უილ სმიტი. სერბი ემზადება დიდი სერბის ჯერ თვალებს ვერ უსწორებენ. ისნი თავდახრილები დაგანან და ფოთოლურის როდები დიდი სერბი მოიგო. ორჯერ. ნოვაკმა ჯერ ერთხელ უნდა მოიგოს. და სერბი დაისვენებს. სერბი აღარ ინერვიულებს.

სერბი უკეთესი სერბი, უკვ-

დავი სერბი, ლეგენდა გახდება.

უფრო ლეგენდა, ვიდრე - ტომ პარდი ან - უილ სმიტი. სერბი უკვდავი სადმე უნდა გააგებინოს, რომ ის, ტიემი, ძან მაღლე მას, ჯოკოვიჩის მოუგებს. ჯერ არ იცის, როგორ, მაგრამ მოუგებს. ჯერ არ იცის, სად, მაგრამ მოუგებს.

ნოვაკი ლიდერია. ის თითქმის უკვდავია.

და ნოვაკს ჯერ ვერ უგებენ. ცუდია. ჩიგბურთი სერბის გასართობი გახდა.

# კონკურსი

## ● ვაჟა დანელია

1969 წლის 4 ივნისს შემზარავი ცნობა მოვიდა - დოლომიტის ალპებში (იტალია) მწვერვალ სუალტოზე ასელისას დაიღუპა ქართული ალპინიზმის უბადლო წარმომადგენელი, მსოფლიოში „კლდის გეფხვის“ სახელით ცნობილი მიხეილ ხერგიანი...

მთელი საქართველო შეძრა მოულოდნელმა ტრაგედიამ... სვანეთი საყოველთაო გლოვი მოიცვა... ლალამში ხერგიანების სახლისაკენ ზღვა ხალხი დაიძრა საქართველოს ყველა კუთხიდან. ისინა ვერ შეგუებოდნენ იმ აზრს, რომ შესაძლებელი იყო, სიკვდილზე მრავალჯერ გამარჯვებული მთამსვლელისათვის ბედისწერას ემუხთლა.

მიხეილ ხერგიანმაც სიკვდილი სიკვდილითვე დაამარცხა. ამიტომაც დარჩა იგი ხალხის ხსოვნაში ლეგენდად...

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ყოფილი საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი ალპინიზმში (1955, 1956, 1964), ხოლო სასიმაღლო და ტექნიკურ კლასებში, მექლდეურობაში საკავშირო ჩემპიონატებისა და პროფესიონალური საკავშირო პირველობების შვიდგზის ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მიხეილ ხერგიანი 1932 წელს დაიბადა მესტიის რაიონში.

სხვადასხვა დროს მან დალაშქრა კავკასიონის, პამირის, ტიანშანისა და ალპების ურთულესი მწვერვალები. ინგლისში „კლდის ვეფხვის“ წოდება მიანიჭეს. მიხეილ ხერგიანმა 1969 წლის 3 ივნისს - ტრაგედიამდე ერთი დღით ადრე (სუალტოს მწვერვალზე ასვლა მისთვის საბჭდის-



წერო აღმოჩნდა) თავის დღიურში ჩანერა:

„რაც მედლები მაქვს, ყველფერს მირჩევნია ის, რომ ბევრი მთამსვლელისთვინ შემინარჩუნებია სიცოცხლე, ყველაზე მეტად მიხარებს გულს ის, რომ ადამიანს სიცოცხლეს შევუნარჩუნებ.“

ბავშვობიდან ჭიდაობა, თხილა-მურობა და სპორტის სხვა სახეობები იტაცებდა. მამამისი ბესარიონ ხერგიანი საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი და ცნობილი მთამსვლელი იყო, რომელმაც

ხელოვანი აღმინისტი. - მე მარტო ალპინიზმი მაინტერესებდა, რაც მამაჩემს არ მოსწონდა... მასალეს, ალპინიადა ტარდებოდა ბანგურიანზე. მე ვინ ნამიყვანდა. ვერც გავბედე, მეთქვა მამაჩემის-თვის. მესტიიდან რომ გავიდნენ, მეც გავყევი ჩუმად. მამაჩემმა გვიან გაიგო. ჩემი დაბრუნება მარტო არ შეიძლებოდა და წამიყვანეს მწვერვალზე".

## სთალინის პირზე

გავიდა დრო და მიხეილ ხერგიანი მთელმა მსოფლიომ გაიცნო. უმამაცეს მთამსვლელზე ლეგენდები დადიოდა. სინამდვილეში კი ერთი ჩვეულებრივი ადამიანი იყო ყოველდღიური დარდითა და სისარულით.

1955 წელს პამირში, აკადემიის ქედზე, ქართველმა მთამსვლელებმა დაიპყრეს რევოლუციის (მოლოტოვის „პრავდის“) პიკი, რამდენიმე დღის შემდეგ კი, 23 აგვისტოს, ი. ა. ხანიანის ხელმძღვანელობით ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ: მ. ხერგიანი, ლ. ახვლედიანი და ჯ. მებმარაშვილი, სსრკავშირის უმაღლესი მწვერვალის - კომუნიზმის (სტალინის) პიკის დასაპყრობად გაემართა.

პიკის სიმაღლე 7495 მეტრია და მთამსვლელებმა ახალი გზით - სამხრეთიდან მოახერხეს მწვერვალის დაპყრობა, რომელიც „ქართველთა გზის“ სახელითაა ცნობილი და ერთ-ერთ ურთულესად მიიჩნევა. ამ საოცარი ასვლის გამო პრეველი ოქრის მედალი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული ჯგუფთან ერთად მიხეილ ხერგიანმაც დაიმსახურა.

ხერგიანის კლდეზე ცოცვის მოქნილი, სხარტი ტექნიკა პოპულარული იყო როგორც საბჭოთაში, ისე საზღვარგარეთ, მასზე ამბობდნენ: „კლდეზე კი არ ადის, ცეკვავს“.

# 30 წელი



მარცხნიდან სხედან: იოსებ კაზანი, თენისინგ ნორგეი, მიხეილ ხერგაზანი, უკან ჯუშმბერ კაზანი ყაბარდო-ბალყარგაში ეროვნული ფოტომატიკანიდან

გამოირჩეოდა პიროვნული თვისებებითაც: ერთგული, კეთილშობილი პიროვნება იყო. ალპინისტურ სამყაროში ცნობილი მთამსვლელები: ჯონათან ჰანტი, უან ფრანკო, არმანდო და რაიტი მას „ელდის ვეფხვის“ სახელით მოისხიებდნენ. „ფანტასტიკურია! მისი ცოცვის ტექნიკა უზადოა, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მისი ხელებისა და ფეხების ქვეშ კლდეები ცოცხლდება, - აღფრთოვანებას ვერ მაღავდნენ ევროპელები.

„30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ბევრი კლდეზე მცოცავი მინახავს, სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ ალპინისტებთან მქონია ურთიერთობა, მაგრამ ხერგიანი ყველას სჯობდა“, - წერდა იტალიელი მთამსვლელი და სენატორი არმანდო და როიტი.

„ის იყო არა მარტო მამაკაცი ყოველივეში, არამედ თენისნგი (თენისინგ ნორგეი, ევერესტის პირველი დამლაშქრელი) ადამიანებს შორის“, - ეს სიტყვები კი ჯონათან ჰანტს ეკუთვნის.

## დედოფალიც აღაფრთოვანა

1964 წელს მიხეილ ხერგიანი ინგლისში მიიწვიეს ტურნირზე. ყველა ქალაქში დიდი პატივისცემით შეხვდნენ. ქართველი სპორტსმენი ადგილობრივ ცნობილ მეცნიერებს ეჯიბრებოდა. ერთ-ერთ ასპარეზობას ინგლისის დედოფალიც დასწრებია. კლდეზე ცოცვისას მიხეილ ხერგიანს ტრიკონები (სპეციალური „ბათინგები“, რომლის ძირი ვეფხვის ტორს წააგავს) ეცვა.

დედოფალმა კლდეზე მცოცავებს რომ შეხედა, გაკვირვებულმა წამოძახა: „ერთს ვიცნობ, ჩვენია, მაგრამ ვინ არის ის, მეორე, კლდის ვეფხვივით რომ დაცოცავს?“ მედიამ დედოფლის ფრაზა აიტაცა და მიხეილ ხერგიანს „კლდის ვეფხვი“ სამუდამო სახელად შერჩა.

„თოვლის ჯიქი“ (თენისინგ ნორგეი) „კლდის ვეფხვთან“ მეგობრობდა. ისინი იალბუზზე ერთად უნდა ასულიყვნენ. იმ დღეს ამინდი გაფუჭდა და თენისინგ ნორგეიმ იერიშზე უარი თქვა. მიხეილ ხერგიანი მარტო ავიდა და კლდეზე სალებავით დააწერა: „კეთილი იყოს შენი მობრძანება, თენისინგ!“ მეორე დღეს გამოიდარა. იალბუზზე ასული „თოვლის ჯიქი“ მისალმების დანახვაზე კინალამ გაგიყდა.

ხერგიანის ახლობლები ერთ ასეთ ამბავსაც იხსენებენ: ყოფილა შემთხვევა, რომ მიშას ასპარეზობაზე უარი უთქვას. 1967 წელს საფრანგეთში პრესტიული ტურნირი ჩატარებულა კლდეზე ცოცვასა და ალპინიზმში. ვიაჩესლავ ონიშენკოს და მიშას წყვილი ყველას აოცებდა. ისინი 4 საათში გადიოდნენ ნებისმიერ რთულ მარშრუტს, რომელსაც სხვები 7-8 საათს ანდომებდნენ. ამიტომ, ადგილობრივი მედიის ინტერესი მათ მიმართ დიდი იყო. ქართულ-რუსულ დუეტს უცხოეთში ყოველთვის დაჰყვებოდა „კაგებეს“ თანამშრომელი ევგენი გიპენრაიტერი. აი, რას გვიამბობს ის თავის „ჩანანერებში“:

„როცა ტურნირზე საბჭოთა წყვილი გამოიძახეს, ფრანგულმა ტელევიზიამ კამერები მომართა. მხოლოდ სლავა ანიშენკო გამოვიდა, მიშა არ ჩანდა. ვიფიქრე, მიშას რამე ხომ არ დაემართა-მეთქი და მოსაძენად წავედი. იქვე, ახლოს, მინაზე იჯდა.





## თოკის ენა

2001 წლის 1 ივნისს იტალიაში ქართველ მთამსვლელთა ახალი თაობა გაემზავრა: აფი გიგანმა, გელა ოთარაშვილმა და ბერი ქაბეგაშვილმა გადაწყვიტეს, ხერგიანის დალუპვიდან 32 წლის შემდეგ მწვერვალ სუალტოზე სახელმავანი თანამემამულის შეწყვეტილი მარშრუტი გაევლოთ. ამას წინათ ბერნი ქაშაკაშვილს 15 წლის წინანდელი ექსპედიციის შესახებ მოეთხრო.

„სუალტოზე ასვლა სპეციალურად 4 ივნისს დაგმოთხვიერ, მწვერვალზე სწორედ ხერგიანის მარშრუტი ავედოთ და შიშიც ვჭამოთ, - გვითხრა მან, - იქ ასვლას ყველა ერიდება, რადგან კედელი იშლება და ქვის ცვენა სახიფათოა. მეტი სირთულის კედელურ დაგვიძლევია, ალბათ, ხერგიანსაც, მაგრამ მისი დალუპვა ბედისწერა იყო.

ჩივეტას მასივი თვალისმომჭრელად ლამაზია. აქ, ძირითადად, 3000-იანი მწვერვალებია, რომელთა რიცხვი 25-ს აღწევს. თითქმის ყველა მწვერვალს ყველა კატეგორიის მარშრუტი უდგება. სუალტო კი ამ მასივის ერთ-ერთი ულამაზესი მწვერვალია. სწორედ ამ მშვინიერმა მწვერვალმა ისხვერპლა მიშა ხერგიანი, კაცი და მთამსვლელი, რომელსაც საქართველო დაგმდე დასტირის. სუალტოს დანახვისას თავში გამიღება: ნეტა, საკუთარი თვალით მენახა, როგორ გადიოდა ხერგიანი-ონი-შენგოს წყვილი ამ მარშრუტს...

დილით სიცივემ გამოგვალიდა. მოძრაობა განვაგრძეთ. მარშრუტი უფრო და უფრო გართულდა. ნაშალი დაიწყო, დრო და დრო ქვებიც ცვიოდა. ჩაფლუმა გვიშველა. ის საბედისწერო ქვაც დამიდიდლით ასეთი კატეგორიის მწვერვალზე ნამდვილი ქართული სუფრა - პური, ყველი, ჭაჭის არა-ყავშალებული და დიდ ნინაპარს, მიხეილ ხერგიანს, ჩვენებურად ჭიქა წავუჟიერ - მისი დამსხვერული ოცნების სადლეგრძელო შესვით... მწვერვალიდან იმ ადგილას მივედით, სადაც გადატეხილი ნერაყინი ყველას დოლომიტები ჩასულს ატყობინებს, რომ 1969 წლის ამ მხარეზე ქართველი კაცი მიხეილ ხერგიანი იმსხვერპლა. ჩვენ ამ ადგილაც ერთი შესანდობარი ვთქვით და უკან დავბრუნდით.

მწვერვალის ძირში ვახტანგ ონიანის მიერ შექმნილი ხერგიანის ბრინჯაოს შესანიშნავი მემორიალი დგას. მწვერვალთა იდუმალ სამყაროში ეს ძეგლი მიხეილ ხერგიანის მთებთან თანაზიარობის უკვდავ სიმბოლოდ იქცა. ●

**◀ ქართულად რაღაცას ლილი-ნებდა და თოკით კვანძებს აკეთებდა. რა ხდება, ხომ კარგად სარ-მეტექი, - მივვარდი. მიშამ მშვიდად ამომხედა და წყნარად მითხრა, - შეჯიბრებაში მონანილეობას არ მივიღებ, სანამ არ გამოაცხადებენ - სვანი მიხეილ ხერგიანი საქართველოდან. რა უნდა მექნა, ტურნირს ვერ ჩავაგდებდით... ბოლოს, როგორც მიშას სურდა, ისე გამოაცხადეს. ყველა გააკირვებული იყო, - საქართველო გაგვიგია, მაგრამ სვანი რას ნიშავსო. მე ავუსტენი მათ, რომ სვანეთი საქართველოს ძალიან ლამაზი კუთხეა, სადაც ხერგიანი დაიბადა-მეტექი. 1968 წელს, ფრანგ ალპინისტა ჯგუფს ყაბარდობან სვანეთში გადმოყვევი. აღფრთოვანებულები ამბობდნენ - სწორედ ამ კუთხეში უნდა დაბადებულიყო „კლდის ვეფხვი“.**

საოცარი კაცი იყო. მახსოვს, ინგლისში, ლორდებმა მიინვიეს. თავიდან შევთიქრიანდი - გლეხის ოვალში გაზრდილი კაცია და ეტიკეტს როგორ დაიცვას-მეტექი, მაგრამ ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ვახხე, როგორ იქცეოდა მიშა მათთან. თავში გამიელვა - ლორდი ლორდთა შორის არის-მეტექი".

1969 წლის ივლისში ხერგიანი იტალიაში გაემზავრა და ვიაჩესლავ თბილებისთან ერთად სარეკორდო დროში - სამ საათში ტორევენეციის 300-მეტრიან კლდეზე აცოცდა. ექვს საათში დაძლია 700 მეტრი სიმაღლის ბანკოტის კედელი, მაგრამ მესამე ასვლა დოლომიტებში ჩივეტას მასივის მწვერვალ სუალტოზე საბედისნერო აღმოჩნდა აღმოჩნდა. მისი გამორჩეული მარშრუტი ბევრი ცნობილი აღმინისტისთვის დიდი ცდუნება იყო, თუმცა ქვების ცვე-

ნის გამო უფრთხოდნენ. როცა გაიგო, რომ ეს მარშრუტი გაბრიელ ივანესს ეკუთვნოდა (იგი 1937 წელს ავიდა სუალტოზე), მიხეილ ხერგიანს გაახსენდა თავისი ბიძა, გაბრიელ ხერგიანი, რომელმაც ასევე 1937 წელს დალაშერა უშება.

როგორც ამბობენ, სწორედ ამის გამო გადაწყვიტო „კლდის ვეფხვმა“ სუალტოზე ასვლა... ცალფა თოკით. ამგვარამ გადაწყვეტილებამ მთამსვლელები გააოგნა, რადგან



ასეთი კატეგორიის მწვერვალზე მხოლოდ ორმაგი თოკით ადოდნენ, რასაც ორმაგი დაცვაც ჰქვას. ხერგიანი ფიქრობდა, რომ ცალფა თოკით სუალტოს რეკორდულად მოკლე დროში დალაშერავდნენ.

ასპარეზობას ასობით ადამიანი ადვენებდა თვალს. 600 მეტრის გავლის შემდეგ ონიშენკო დაცვაზე იდგა. მიშა ხერგიანი ამ დროს კლდის შიდა კუთხეში ბუნებრივ ღარში იმყოფებოდა, ქვების ცვენაც სწორედ აქ დაიწყო. მიხეილ ხერგიანს, სამნუხაროდ, მანევრირების საშუალება არ მიუცა. ქვების ცვენისას თოკი გადაიჭრა... და „კლდის ვეფხვი“ სუალტოს მოსწყდა...



# ჯულიას სტატუსი



## ● ვასილ ბალახაძე

ჯულია მანკუზო 1984 წელს, ნევადის შტატის ქალაქ რინიში, იტალიელი ემიგრანტის ჩირო მანკუზოს ოჯახში დაიბადა. მამამისი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ნარკოდილერი იყო ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში. მის კარტელში მზადდებოდა და გაყიდვაში გადიოდა დიდი რაოდენობით მარიხუანა და კოკაინი. ჩირო 1995 წელს დააკავეს, გაასამართლეს და 9 წლითადი ციხეშიც გაატარა, თუმცა თავისი ქალიშვილის სპორტული კარიერის პირველი დღეებიდან დაწყებული, თანადგომა არც ციხიდან შეუწყეტია.

ზამთრის სპორტის სახეობებში ვარჯიში ჯულიამ სწორედ მამის ხელშეწყობით და სკოლაში სწავლისას დაიწყო. 1999 წელს, 15 წლის ასაკში, პირველად მიღო მონაწილეობა მსოფლიო თასის გათამშებაში და რა გასაკეირია, რომ პირველივე დიდ შეჯიბრებაზე მედალი არ მოუპიოვებია.

თუმცა ჯულიამ ვერც მომდევნო წლებში მოახერხა საუკეთესოთა შორის ადგილის დამკვიდრება. 2001 წელს ოცდათვეულში შევიდა, მერე ნელ-ზელა დაიძრა რეიტინგში ზემოთ და 2005 წლის სეზონის დაწყების წინ უკვე ათეულში ვხედავთ. უშუალოდ 2005

წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კი ამ შესანიშნავმა ქალბატონმა ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეძლო გიგანტურ სლალომსა და სუპერგიგანტში.

2006 წლის ტურინის ოლიმპიურ თამაშებზე მისგან კარგ შედეგებს ელოდნენ, მაგრამ არა - მაინცდამაინც მედლებს. თუმცა გოგონამ თავისი ისტორიულ სამშობლოში ასპარეზობისას სპეციალისტებს და სპორტის გულშემატკირებს სენსაცია შესთავაზა - პირდაპირ ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. არადა, იქამდე ხომ ჯულიას მსოფლიოს თასის ერთი ეტაპიც კი არ ჰქონდა მოგებული. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მან ოლიმპიური ოქრო მტკიცანი მუხლით მოიგო. იტალიაში თანამებამულის ნარმატება განსხვავებულად დააფასეს - იმ ტრასას, სადაც გაიმარჯვა, „ჯულია გოლდ“ (ოქროს ჯულა) დაარქვეს.

2006 წლის სპორტული სეზონი მანკუზომ მე-8 ადგილზე დაასრულა, თუმცა ამის გამო ოლიმპიური ჩემპიონის კრიტიკა არ დაუწყიათ, პირველ ყოვლისა იმის გათვალისწინებით, რომ სეზონის მიწურულს სიარულიც კი უჭირდა მტკიცანი ფეხის გამო და მერე იპერაციის გაკეთებაც დასტირდა.

სპორტული ფორმის აღდგენა მან 2007 წლისთვის შეძლო და

სწორედ ამ წელინადს მოიგო პირველად მსოფლიოს თასის ეტაპი. მას შემდეგ, კარიერაში ჯულიას კიდევ 6 ეტაპი აქვს მოგებული.

2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, შვედეთის ქალაქ ოპეში, მანკუზოს სუპერკომბინაციისას ერთი ნაბიჯი დააკლდა გამარჯვებამდე, ის მხოლოდ მასპინძელთა გუნდის ნარმომადგენლენ ანია პერსონს ჩამორჩა და მეორე ადგილზე გავიდა. ცოტა ხანში ისევ ისტორიულ სამშობლოში შეიძლებოდა, გამართლებოდა, როცა ტარგიზიოში (იტალია) სამჯერ დადგა პოდიუმზე, მაგრამ სულ ცოტა აკლდებოდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურომდე.

ჯულიამ მომდევნო მედალი მსოფლიოს 2011 წლის ჩემპიონატზე მოიპოვა, როცა პარმიშ-პარტენ-კირხენის (გერმანია) ტრასაზე სუპერგიგანტში მეორე ადგილზე გავიდა, 2013 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე შლადმინგში (ავსტრია) მანკუზო ასევე სუპერგიგანტში ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

ოლიმპიურ თამაშებზე 10 წლის წინ მოპოვებული მიღწევა ჯულიამ ველარაფრით გაიმეორა. 2010 წელს ვანკუვერში მოგებულ ვერცხლის ორ მედალს, შარშანინი სოჭის თამაშებზე ბრინჯაოც მიუმატა, მაგრამ სადაა ოქრო?

ოქრო იგვიანებს, თუმცა 31

წლის ჯულია მანკუზო ჯერაც აგრძელებს კარიერას და თავისი სილამაზითაც იქცევს ყურადღებას. მას ხშირად ნახავთ პოპულარული მოდური გამოცემების ყდაზე. მისი ფოტოები სხვადასხვა ვებგვერდებზეც მრავლადა.

იტალიური წარმოშობის დიდებული გარეგნობის სპორტსმენია ლამაზმანია, აგერ, ადგილი ჩვენი უურნალის ფურცელზეც იპოვა... ●



# სამუშაო განდი



● მარია შაველაშვილი  
მადრიდი-თბილისი

ესპანეთი მოგზაურობის მოყვარული ადამიანისთვის სასურველი ქვეყანაა. იქ ხომ არაჩვეულებრივი, ყურადღებიანი, თბილი და პოზიტიური ხალხია. ხელოვანი ხარ თუ სპორტის მოყვარული, მნიშვნელობა არა აქვს, მაინც მონიბლული დარჩები, ესპანეთში ხომ სპორტი ხელოვნებაა.

მადრიდის მთავარი სანახაობა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის, მადრიდის „რეალის“ სტადიონი, „სანტიაგო ბერნაბეუ“. არ არის აუცილებელი, რომ იყო „რეალის“ გულშემატკივარი. ჩვეულებრივ ფეხბურთის მოყვარულზეც დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს ისტორიული კლუბის სანახაობები. „რეალის“ მუზეუმი სუპერთანამედროვე ტექნოლოგიებთან აღჭურვილი, რაც მნახველს საოცარ სამყაროში ითრევს. თუმცა, სტადიონიც თავისითავად მუზეუმია, რომლის ისტორიასაც ვიდეო-მთხრობელი მოკლედ გვაწოდს:

ისტორია 1902 წლის 6 მარტიდან იწყება, როდესაც დაარსდა მადრიდის „რეალის“ საფეხბურთო კლუბი. მისი პირველი პრეზიდენტი იყო ხუან პადროს რუბიონ. კლუბის თავდაპირველი სახელწოდება ასეთი გახლდათ: „მადრიდ კლუბ დე ფუტბოლ“. 1943 წელს მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა ანტონიო სანტიაგო ბერნაბეუმ დაამდინარება და კლუბის მეთაურის ადგილი სანტიაგო ბერნაბეუმ დაიკავა. მადრიდის „რეალის“ მუზეუმში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თავად სანტიაგო ბერნაბეუს ნივთებსა და ბიუსტს. 1947 წლის 14 თებერვალს მადრიდში ახალი საფეხბურთო სტადიონი გაიხსნა, რომელსაც კლუბის პრეზიდენტის პატივსაცემად „ესტადიო სანტიაგო ბერნაბეუ“ ეწოდა. ეს სტადიონი უფრო თანამედროვე იყო, ვიდ-

რე 20-იან წლებში აგებული 22 ათასიანი „ჩამარტინი“. როგორც ცნობილია, „ბერნაბეუს“ „ახალ ჩამარტინს“ უწოდებენ. დღეს-დღეობით მადრიდის „რეალის“ სტადიონი 85.454 ადამიანს იტევს.

ბერნაბეუს ტური 19 ეკრო ღირს. ამ თანხით შესაძლებელია მუზეუმისა და სტადიონის ნახვა. „თეთრების“ მუზეუმში ისეთი გარემოა, ნებისმიერ ადამიანს აღაფრთოვანებს. ნებისმიერ ადამიანში ფეხბურთის არამოყვარულებაც ვგულისხმობ, რადგან ამის ნათელი მაგალითი დედაქემია. მასთან ერთად ვიყავა „ბერნაბეუს“ მუზეუმში და ვხედავდი, ის აღაფრთოვანებას ვერ მაღავდა, მიუხედავად იმისა, რომ არც „მადრიდისტა“ და არც ფეხბურთის მოყვარული.

პირველ დარბაზში, მარჯვენა მხარეს ვხვდებით საუკუნის წინანდელ ნივთებს: თასებს, ბუკებს, მაისურებს, სურათებს, საქალადებებს, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გაზეთებს.

მარცხნივ კედელი მთლიანად ეკრანებითაა აწყობილი, სადაც ჩართულია ისტორიული მომენტები მადრიდის „რეალის“ ისტორიიდან, კომენტატორთა ხმა, ემციური ყვირილი გოლის გატანისას... ვხვდებით რაულ გონსალეს ბლანკოს, ზინედინ ზიდანს, რობერტო კარლოსს, ალფრედო დი სტეფანოს და ა.შ. ამ ყველაფერთან ერთად არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ მომენტებს, რომლებმიც ამაღლვებლად ჩანს, მადრიდის „რეალის“ ყოფილი კაპიტანი, იკერ კასილიასი, თასთან ერთად.

გზას ვაგრძელებთ და ვხედავთ რობერტო კარლოსის, პეპეს, დევიდ ბექეტის, გონსალო იგუანინისა და სერბიო რამისის ბუკებს. ყველასთვის ცნობილია, რომ ამ ფეხბურთელთაგან სამი ყოფილი მადრიდებია, ხოლო ორი, სერბიო რამისი და პეპე, დღესაც ატარებენ რეალის მაისურს. ბუკებითაც მშვენივრად ჩანს ამა თუ იმ ფეხბურთელის გემოვნება. განსაკუთრებული დიზაინისაა დევიდ ბექეტის ბუკები...

მომდევნო დარბაზში იმაზე დიდი განძი დამხვდა, ვიდრე წარმომედგინა: „რეალის“ ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელების მიერ მოპოვებული ოქროს ბურთები და ბუკები. პირველი ალფ-

რედო დი სტეფანოს (1958) ოქროს ბურთი იღო, შემდეგ - რონალდოს (1997), ზიდანის (1998), ფიგუს (2000), კაკასა (2007) და „რეალის“ ამჟამინდელი ლიდერის კრისტიანო რონალდოს (2008, 2013, 2014).

ცნობილი „ლა დესიმაც“ ენახე - „რეალის“ მიერ მოპოვებული მეთე ჩემპიონთა თასი, რომელიც 2014 წელს მოიგო „ატლეტიკოსთან“ ბრძოლაში. გემახსოვრებათ, როგორ იგებდა „ატლეტიკო“ 92-ე წუთამდე, სანამ მადრიდის „რეალმა“ არ გაათანაბრა. საბოლოოდ ეს მატჩი 4:1 დასრულდა სამეფო კლუბის გამარჯვებით. სწორედ ამ დღეს ჩაიგდო „რეალმა“ ხელში „ლა დესიმა“. ჩემპიონთა ლიგის მატჩის მსვლელობისას რუსეთში როგორ რწყავდნენ მოედანს ხელის „ლეიიით“.

ასევე ვხვდებით, „რეალის“ სტადიონის ახალ მოდელს, რომელიც ორიგინალურობით გამოირჩევა. „ბერნაბეუს“ რესტაურაცია ჯერ არ დაწყებულა, თუმცა მადრიდელები იმედოვნებენ, რომ მალე იხილავენ განახლებულ სტადიონს, რომელიც ზევიდან ნახევრად გადახურული იქნება.

„ბერნაბეუს“ ტურიდან გულშემატკიცერებს სამახსოვროდ ჩერებათ საყვარელ ფეხბურთელთან გადაღებული სურათები. ოლონდ, ფეხბურთელი არ არის ნამდვილი, ფოტოს გადაღებისას მარტო დახახარ, მაგრამ დაგიბეჭდავენ და შენს გვერდით, ვთქვათ კრიშტიანო რონალდო ჩნდება. სურათი იმ 19 ეკროში არ შედის, რომლითაც „ბერნაბეუს“ ტურის ბილეთს ვყიდულობთ.

ტური მოედანზე გრძელდება.




თავისუფლად შევეხებით მინდონს, რომელსაც უამრავი ისტორიული მატჩი ახსოვს. მოედანზე დგას უამრავი სუპერთანამედროვე სარწყავი მანქანა. მათი დანახვისას გამახსენდა, დაახლოებით ორი წლის წინ ჩემპიონთა ლიგის მატჩის მსვლელობისას რუსეთში როგორ რწყავდნენ მოედანს ხელის „ლეიიით“.

კიბებს აცუყვებით თუ არა, აღმომწინდებით ფეხბურთელების გასახდელ ოთახში. ოთახში, რომელშიც ყველა მოთამაშეს აქვს თავისი ადგილი. შევედრების შემდეგ ყველა როდი მიღის გასახდელში - ერთი ფეხბურთელი თანამედროვედ მოწყობილ საკონფერენციო დარბაზის კენიანი მომართება. სადაც მოთამაშები და მწვრთნელები უურნალისტებს ხვდებიან.

სტადიონიდან გამოსულს კიდევ ერთხელ მომინდა შებრუნება და მუზეუმის დათვალიერება. მადრიდში მოხვედრილმა ტურისტმა აუცილებლად უნდა ნახოს „სანტიაგო ბერნაბეუ“, რომელიც სავსეა საფეხბურთო ხელოვნების ნიმუშებითა და სამეფო განძით. ესპანეთში ხომ ფეხბურთი ხელოვნებაა.

ტური მოედანზე გრძელდება.





ପ୍ରକାଶକ ପତ୍ର

**1**

დიდი უნივერსალუ ფეხბურთელი

1. ... ნეტკური  
2. "ატლეტიკი" ფრინველი და ამცურა -  
3. "ლოტენშტადი" მატერიალუ და ამცურა -  
4. გორგა არჩევას მზრ- სახელმისამართი -  
5. "ნებისმის" არცების სტა- მპინ ქუცუკულ -  
6. ნილა ას კლიმა" - ქუცუკულ -  
7. დადა ატ- ლეტიკის პეტე- კა სახელმისამართი -  
8. "ინტერის" ექსპორტის გაუტერი -  
9. გამოჩენილია მერი, დოფინი- ტური ფურნიკ -  
10. კოდინი  
11. ურუბის  
12. პატტი ბერ  
13. უკინ რუ- რის რესისტე- ლი  
14. ბეჭედისა- მს" პეტერები ქუცუკული -  
15. ალექს- ტორი  
16. ავტ-ს ნაკან მერისწილუ ფურნიკ -  
17. გამოჩენი- ლა მოლოდი ნიკი ...  
18. როვა დე უნივერსალის ფეხბურთის კუცუკული ...  
19. ალექსი  
20. ფულეთი  
21. კალები  
22. "ფოლადი- არა" ციცელი დარღვეული -  
23. ბერუბა გორგას მზრ-სახელმისამართი -  
24. აგარა- ბი  
25. სკოლები, კლასათაშორი- და - დარღვეული -  
26. ჰაშიურ- გის" საკრისტიანო ასონ -  
27. ერები- განი  
28. ფოლადი- კლასის სტადიონი "... ფორმა" -  
29. ხუდოდას ფეხბურთის კუცუკული  
30. კარიურის ნაკან მერის ალექსის დარღვეული -  
31. ზორბეგი -  
32. ეტერ -  
33. ჰადრეგის ფულეთი  
34. მეტავა- რები  
35. 1998 წ მსოფლიო ჩემპიონატის კუცუკული -  
36. "ასმენე- ლენის" ფულეთიდან - დარღვეული -  
37. ჰუდოდას მერისწილუ დარღვეული  
38. სამართ- ლენის" ფულეთიდან - დარღვეული -  
39. პატტი არ- გარდა პეტერ სახელი -  
40. "უკინის" მერისწილუ სკოლი -  
41. გასოლი  
42. პალლა და -  
43. პეტრ- იმპერატორი  
44. მამაკანა ტურისტის დარღვეული  
45. კუმისა  
46. პოლიო- ნი  
47. მირებ- მი  
48. სადონის ლიგა 2-ს ფეხბურთის კუცუკული  
49. კატრი- პიქი  
50. სკოლებიდან ექსპორტის გაუტერი -  
51. ბრიტანია- ს ნაკან მერი, ქა- ფულეთიდან  
52. კონცე- ცი  
53. ლეიმის კუცუკული  
54. კურანის -  
55. დარღვეული -  
56. სოლისის ფეხბურთის კუცუკული  
57. და მირა -  
58. ერისტები -

**2**

საქართველოს ნაკრძალის ფეხბურთი

**3**

დადა გარევალი სიმღერების მზრ-მეტა, ლეიმისური ჩემპიონი

ნორა ბომბის სეანცორდის ეასთეტიკა

- ଓঠামি 1. গুস্তা মেরিডিয়া
- ଓঠামি 2. মানুষীয়ার মানীয়া
- ଓঠামি 3. সত্ত্ব গুলো

1. ଗୋଟିଏକାଳେ 2. ମେଲା 3. ଅଳ୍ପ 4. ଗୋଟିଏକାଳେ 5. ଆଶରନ୍ତିରୁ 6. ଲୁହ୍ରୁ 7. ମେଲୁହ୍ରୁ 8. ମାତ୍ର 9. କୁତ୍ତିରୁ 10. ଗୋଟିଏକାଳେ 11. କୋଣାର୍କ 12. ଅଳ୍ପ 13. କୁତ୍ତିରୁ 14. ଲୋହି 15. ଶୁଭରନ୍ତିରୁ 16. ମେଲା 17. ଆଶରନ୍ତିରୁ 18. ଦୂରଧୂରୁ 19. ଗ୍ରୁହ୍ଣ 20. ମେଲା 21. ମେଲାରୁ 22. ଲୋହିରୁ 23. ଲୋହି 24. ଲୋହିରୁ 25. ଶୁଭରନ୍ତିରୁ 26. ଶୁଭରନ୍ତିରୁ 27. ଦୂରଧୂରୁ 28. ଲୋହି 29. ଶୁଭରନ୍ତିରୁ 30. ଶୁଭରନ୍ତିରୁ 31. ଲୋହିରୁ 32. ସାମ୍ରାଜ୍ୟରୁ 33.

მოქანდაკე 34, ივლის 35, კაზან 36, კოლომინი 37, მარტინი 38, ტორენი 39, ნევრიული 40, ბასილ-ლენი 41, არაგი 42, და 43, ფილი 44, დადა 45, უკ 46, ლარიონი 47, გასპარი 48, მალევ 49, ურა 50, ლო 51, მანა 52, ლინ 54, ჰას 55, ჟერ 56, ჩანა 57, სილ 58, რუ 59, ბად-რი 60, პეტ 61, ბრინიტი 62, პეტ 63, ჩინიტიტი

# შეგვინი შენი კრიტიკა

შურნალ „არსენალთან“ ერთად



გსურს გქონდეს შენი „აბრამსი“, „ლეოპარდი“, „მერკავა“ თუ სხვა საბრძოლო ტექნიკა.  
29 აპრილიდან, ყოველთვიურად იყიდე  
შურნალ „არსენალთან“ ერთად  
თანამედროვე და ისტორიული საბრძოლო  
ტექნიკის საკოლექციო ზუსტი მოდელები



RETRO

ჩიზურები გალადინი ტარგანი  
და ესები

